პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 20 ივნისი, 1942 წ. № 144 (6460). ფასი 15 კაპ.

თბილისი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას ამხ. ვ. გრიგორიანს

მხურვალედ მივესალმები საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლ ორგანოს—გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მისი 20 წლისთავის დღეს.

ვუსურვებ „ზარია ვოსტოკას" ყველა მუშაკს მომავალშიც წარმატებით განეგრძოთ სახელოვანი ტრადიციები საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვისა, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ი. ბ. სტალინი, და ყოველთვის ყოფილიყვნენ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პირველ რიგებში.

19 ივნისი 1942 წელი
მოსკოვი.

ლავრენტი ბერია

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მისი არსებობის ოცი წლისთავზე.

„ზარია ვოსტოკას", რომლის პირველი ნომერი 1922 წლის 20 ივნისს გამოვიდა, მაღლა ეპყრა **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი დროშა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ოცი წლის მანძილზე „ზარია ვოსტოკა" მტკიცედ იცავდა სახელოვან ტრადიციებს ბოლშევიკური პრესისა, რომელსაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საფუძველი ჩაუყარა **დიდმა სტალინმა.**

„ზარია ვოსტოკამ" დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების ნარჩენების, ნაციონალ-უკლონისტების, „მემარცხენე" და მემარჯვენე ორპირების, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ბუხარინელებისა და ხალხის სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, „ზარია ვოსტოკა" მრავალჯერ გამოჩენილი ქვირფასი ინიციატივით ხელს უწყობდა ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას და მტკიცედ იბრძოდა ახალი გამარჯვებებისათვის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის პირველი დღეებიდანვე „ზარია ვოსტოკამ" მთელი თავისი მუშაობა დაუქვემდებარა საბჭოთა კავშირის უბოროტესი მტრის განადგურების ამოცანებს. იგი ფართოდ უჩვენებს სამშობლოს პატრიოტებს, ფრონტისა და ზურგის მამაც მებრძოლებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ვერაგი მტრის—ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში „ზარია ვოსტოკა", რომელსაც მაღლა უპყრია **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი დროშა, მომავალშიც დაუღალავად დარაზმავს მშრომელებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა დიდი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესრულებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი

ბოლშევიკური პრესის ლენინურ-სტალინური ტრადიციების დროშით

ბოლშევიკური პრესა, ბეჭდვითი სიტყვა უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი ამოცანები აკისრია გაზეთს გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო [illegible]

[illegible]

უძღვნა ამხანაგ **სტალინის** სახელთან და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

„ზარია ვოსტოკა" დაუღალავად იბრძოდა ხალხის მტრების, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების, [illegible]

[illegible]

რატიფიკაცია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულებისა ჰიტლერის გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე"

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, მოისმინა რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობაზე და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ და მთავრობის წინადადება ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე,

ადგენს:

1. მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

2. რატიფიცირებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, დადებული ქალ. ლონდონში 1942 წლის 26 მაისს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 18 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

კრემლის დიდი სასახლის ვეებერთელა დარბაზი, სადაც წლითიწლობით ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები, სავსეა დეპუტატებით. ხალხის ბევრი რჩეულთაგანი მოსკოვს ჩამოვიდა მოქმედი არმიიდან—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან. დამსწრეთა შორის არიან სახელგანთქმული მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, ყველა გვარეობის ჯარის წარმომადგენლები. მათ გვერდით არიან ისინი, ვინც ზურგში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, შახტებში და რკინიგზებზე თავდადებული მუშაობით ეხმარება გმირ წითელ არმიას სჭედოს მტერზე გამარჯვება.

დარბაზში მრავალი სტუმარია—ქარხნებისა და ფაბრიკების სტახანოველები, პარტიული და სამეურნეო აქტივი, დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ლოჟებში სხედან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უც- [illegible]

[illegible]

[...]ბულ იქნება და დაჩქარდება, და რომ მიწოდების ახალი პროგრამით ამერიკის შეერთებული შტატები ამ მიწოდების თანხას 3 მილიარდი დოლარით განსაზღვრავენ.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, იუწყება რა თავის მოლაპარაკებაზე ლონდონსა და ვაშინგტონში, აღნიშნავს ა. შ. შტატების პრეზიდენტ ბ-ნ რუზველტისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილის პირადს ყურადღებასა და უაღრესად აქტიურ მონაწილეობას საუბრებში და გამოთქვამს მათდამი გულწრფელ მადლობას. დეპუტატები ერთსულოვანი ტაშით ეგებებიან ამ განცხადებას.

ლენინ-სტალინის დიადი დროშით, —ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. მოლოტოვი,—ჩვენ გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ვეწევით გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ. ლენინ-სტალინის დიადი დროშით ჩვენ ამ ბრძოლას მივიყვანთ ძლევამოსილად დამთავრებამდე, ჩვენი სამშობლოსა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საქმის გამარჯვებამდე.

დარბაზში ყველა დამსწრენი ფეხზე [illegible]

[illegible]

[...]ბით დაპყრობილ სხვა ქალაქებში ვერ გასტეხეს უკრაინელი ხალხის ნებისყოფა. სასტიკ ბრძოლაში გამოიწრთვნენ წითელი არმიის მებრძოლნი, უკრაინელი პარტიზანები, უკრაინის ათასობით და ათასობით ვაჟიშვილი და ქალიშვილი. სსრ კავშირის ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთთან უკრაინის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას აღაფრთოვანებს ახალ-ახალი გმირობისათვის დაუძინებელ მტერთან ბრძოლაში. ყველა დეპუტატი ტაშით ეგებება ამხ. კორნიეცის სიტყვებს, რომელიც ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებას ახასიათებს, როგორც უაღრესად მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს, როგორც საბჭოთა მთავრობის ნაყოფიერი, ბრძნული და შორსმჭვრეტელური სტალინური პოლიტიკის საბუთს. ორატორი მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ უმაღლესი საბჭო ერთხმად მოახდენს ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას.

დამსწრენი მხურვალე ტაშით ეგებებიან დეპუტატ **ა. ა. ჟდანოვს.**

ამხ. ჟდანოვი დიდ ბრიტანეთთან [illegible]

[illegible]

ფაშისტი ბარბაროსები ლიტვის კულტურას ანადგურებენ, ჩვენს მიწებს ურიგებენ სხვადასხვა გერმანელ გაიძვერებს. მაგრამ, უსასტიკესი რეპრესიების მიუხედავად, ლიტველ ხალხს ქედი არ მოუხრია, რასაც მკაფიოდ მოწმობს პარტიზანული მოძრაობის ზრდა. ლიტვის მშრომელებმა იციან, რომ განთავისუფლების ჟამი მალე დადგება. ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ამხანაგ სტალინს, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს გერმანელ ოკუპანტთა განადგურებისათვის და მათგან ჩვენი წმინდა მიწა-წყლის გაწმენდისათვის ბრძოლაში!

სიტყვა ეძლევა დეპუტატს **ნ. ს. პატოლიჩევს,** რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებას, რომელიც სავსებით გამოხატავს საბჭოთა ხალხების ინტერესებს, ისე როგორც ინგლისელი ხალხის ინტერესებსაც. ამხანაგი პატოლიჩევი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ სტალინს გადასცემს ურალელთა ფიცს — ყველაფერი გაა- [illegible]

[illegible]

(დასასრული იხ. 2-ე გვ.)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 ივნისის დილის ცნობა

18 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

საბჭოთა 7 ავიაგამანადგურებელი მაიორ ზიმინის მეთაურობით გერმანელთა 12 ბომბდამშენსა და 4 ავიაგამანადგურებელს შეხვდა ჰაერში. ჩვენმა მფრინავებმა გაბედულად მიიტანეს იერიში მტერზე. ამ დროს გერმანელთა თვითმფრინავებს კიდევ 11 „მესერშმიტ-109" მიემატა. ეს უთანასწორო საჰაერო ბრძოლა, რომლის დროსაც ჩვენმა მფრინავებმა დიდი ოსტატობა გამოიჩინეს, 45 წუთს გაგრძელდა. ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულია გერმანელთა 10 თვითმფრინავი. გარდა ამისა, დაზიანებულ იქნა გერმანელთა 3 თვითმფრინავი. ჩვენ ერთი თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

ხარკოვის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილმა 3 დღის ბრძოლების დროს ჰიტლერელთა რამდენიმე იერიში მოიგერია. გერმანელებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს, ზარალი კი დიდი ნახეს. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა 9 ტანკი დააზიანეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 1.000-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ერთი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა (კალინინის ფრონტი) უეცარი დარტყმით განდევნეს გერმანელები მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან. ხელთ ვიგდეთ მტრის 3 ქვემეხი, 8 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, რადიოსადგური და საწყობი საომარ მასალიანად. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

გერმანელთა ტანკები ცდილობდნენ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედი ჩვენი ნაწილის ზურგში შეჭრილიყვნენ. ტანკსაწინააღმდეგო თოფების გუნდებმა სწრაფად აუტეხეს სროლა მტრის მანქანებს. მეშიშვნეებმა ამხ. სავიცკიმ, ლატიშევმა და კუჩერმა გერმანელთა 4 ტანკი დააზიანეს.

• • •

იმ ქვეგანაყოფის სნაიპერებმა, რომელსაც ამხ. ალექსეევი მეთაურობს, მარჯვე ცეცხლით გაჟლიტეს 301 ჰიტლერელი. სნაიპერმა ამხ. აქსაკოვმა დახოცა 34 გერმანელი ჯარისკაცი, ამხ. პოლუბოიარინოვმა—28, ამხ. ფილიპუშჩენკომ და ნეფედოვმა — თექვსმეტ-თექვსმეტი ჰიტლერელი.

• • •

უფროსი სამხედრო ფერშალი ეკატერინე ვასილის-ასული პიმენოვა მტრის ცეცხლქვეშ თავდადებულად უწევს დაჭრილთ პირველ სამედიცინო დახმარებას. ამხ. პიმენოვამ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 80 დაჭრილი მებრძოლი და მეთაური მათი იარაღიანად.

• • •

სმოლენსკელ პარტიზანთა რაზმი ამხ. გ-ს მეთაურობით გაბედულად დაესხა თავს სოფელ ბ-ში განლაგებულ გერმანელთა გარნიზონს. პარტიზანებმა დახოცეს 150 ოკუპანტი, ააფეთქეს 2 საწყობი საომარ მასალიანად, დასწვეს 15 ავტომანქანა და 40 საზიდარი.

• • •

გერმანელთა 79-ე ქვეითი დივიზიის 212-ე პოლკის მე-6 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა მეთაურმა, ლეიტენანტმა პაქს ჰუმელტენბერგმა განაცხადა: „რამდენიმე დღის ბრძოლის განმავლობაში ჩემი ასეული პირდაპირ მოსპეს. პოლკსაც დიდი ზარალი მოუვიდა. ერთი კვირის განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა უმეტესობა. მოკლულთა შორის არიან: ობერ-ლეიტენანტი რაში, ობერ-ლეიტენანტი ლაურერი, ობერ-ლეიტენანტი ბარტი, ლეიტენანტი შედერი, ობერ-ფელდფებელი რატმანი, შტაბს-ფელდფებელი შტაუტი და სხვები".

• • •

226-ე პოლკის ტყვედწამოყვანილმა ჯარისკაცმა ჰაინც გ-მ განაცხადა: „დიდი ხანია მსურდა ტყვედ ჩავარდნა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. გაქცეულთ ოფიცრები ტყვიამფრქვევს უშენენ. ამას წინათ ჯარისკაცთა ჯგუფმა უარი სთქვა ბრძოლაში წასვლაზე. ისინი იმ დღესვე დახვრიტეს. სოფელ კ-სთან ლეიტენანტმა ბეკერმა დახვრიტა მე-9 ასეულის 3 მეტყვიამფრქვევე ჯარისკაცი იმისათვის, რომ მათ უარი სთქვეს მისი ბრძანების შესრულებაზე. დახვრეტილთა შორის იყო ჩემი მეგობარი ფრანც ზაუერი. ამ უკანასკნელ ხანს პოლკში დეზერტირობის არაერთი შემთხვევა იყო. ბევრ ჯარისკაცს სურს ყოველივე საშუალება იხმაროს, ყოველგვარი ფასი გაიღოს, ოღონდ თავი დააღწიოს ომს".

• • •

აღმოსავლეთ პრუსიის ტყეებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან გაქცეულ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფები იმალებიან. ჯარისკაცები კარგად არიან შეიარაღებულნი და თავს ესხმიან სურსათის საწყობებს. გერმანელმა ხელისუფლებმა არაერთხელ სცადეს დეზერტირების შეპყრობა, მაგრამ ყველა ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ადგილობრივი მოსახლეობა დროულად ატყობინებს ჯარისკაცებს მოიერიშეთა და „ეს"-ელთა რაზმების მოახლოებას.

19 ივნისის საღამოს ცნობა

19 ივნისის განმავლობაში ფრონტის სევასტოპოლის უბანზე გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდმა ბარენცის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 15 ათასი ტონა წყალწყვისა.

• • •

18 ივნისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 25 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 30 საზიდარი საომარი მასალა, ჩააქრეს 6 საარტილერიო ბატარეისა და 20 სატყვიამფრქვევო წერტის ცეცხლი, ააფეთქეს 2 საწყობი საომარ მასალიანად, ჩასძირეს მტრის ტორპედო-ნი კატერი.

• • •

ფრონტის სევასტოპოლის უბანზე გერმანელ ფაშისტთა ჯარები უდიდეს დანაკლისს არ ერიდებიან და გააფთრებული იერიშები მოაქვთ ჩვენს თავდაცვითს ზღუდეებზე. ჩვენი ქვეითები, მეზღვაურები და არტილერისტები მტრის იერიშებს იგერიებენ და მას სულ ახალ-ახალ დარტყმას აყენებენ. მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში სევასტოპოლის გმირმა დამცველებმა მოსპეს მტრის ერთ პოლკზე მეტი ქვეითი ჯარი და 20 ტანკი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

• • •

ჩვენმა შენაერთმა, რომელიც კალინინის ფრონტზე მოქმედებს, მტერთან 2 დღის ბრძოლებში დახოცა 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია გერმანელთა 8 ტანკი.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს მტრის 3 ქვემეხი, 5 დაზგის ტყვიამფრქვევი და ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად. გერმანელებმა 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

• • •

ჩვენი მებრძოლების რაზმი (კალინინის ფრონტი) მოწინააღმდეგის ზურგში შეიპარა და სოფელ ს-ს რაიონში რამდენიმე ადგილას ჩასაფრდა. ჩვენმა მებრძოლებმა თავიანთი თავი არაფრით გამოამჟღავნეს და გზაში გაატარეს 15 გერმანელი მევატომატე. მევატომატეებს მიჰყვა მტრის ქვეითთა კოლონა. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელები ძალიან ახლოს მოუშვეს, ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების სროლა აუტეხეს და 200-ზე მეტი გერმანელთა ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს.

• • •

ამხ. ბალანდინის ბატარეამ (სამხრეთის ფრონტი) ცეცხლითი თავდასხმით ააფეთქა მოწინააღმდეგის საწყობი საომარ მასალიანად და მოსპო ორი ქვემეხი და მისი მომსახურე შემადგენლობა.

• • •

ლეიტენანტ ნაგორნის ქვეგანაყოფის ნაღმსატყორცნელებმა მტრის ქვეითი ჯარის თავმოყრის ადგილი აღმოაჩინეს და რამდენიმე მარჯვე ზალპი დაახალეს. გერმანელები საჩქაროდ გაიქც-გამოიქცნენ და ბრძოლის ველზე დასტოვეს 80 მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი.

• • •

მაისში გერმანელთა სარდლობამ ლენინგრადის ოლქის პარტიზანთა რაზმების ჯგუფის წინააღმდეგ დიდი სადამსჯელო ექსპედიცია გაგზავნა არტილერიით, ტანკებითა და თვითმფრინავებით. საბრძოლო მოქმედების ერთი თვის განმავლობაში პარტიზანებმა ამხ. ვ. და ო-ს მეთაურობით მოსპეს გერმანელთა 2.570 ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანეს 20 ტანკი, ლიანდაგიდან გადააგდეს 5 სარკინიგზო შემადგენლობა და ერთი ჯავშნიანი მატარებელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი ალაფი.

• • •

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანთა ჯგუფმა ამხ. დ-ს მეთაურობით ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სარკინიგზო შემადგენლობა საწვავიანად. დაიწვა 30 ცისტერნი და 13 გერმანელი ჯარისკაცი იმ რაზმიდან, რომელიც შემადგენლობას იცავდა.

• • •

ესპანეთის „ცისფერი დივიზიის" ტყვე ჯარისკაცმა ანტონიო ფაბრა გომესმა განაცხადა: „მე უცხოელთა ლეგიონში ვმსახურებდი ესპანეთის მაროკოში. მარტში კაპიტანმა ასეული შეჰკრიბა და სთქვა, ბრძანება მივიღე 15 კაცი გამოვყო „ცისფერი დივიზიისთვისო". რადგან მოხალისენი არ აღმოჩნდნენ, მან წინადადება მოგვცა, კენჭი გვეყარა. 15-თა შორის მეც მოვხვდი. ძველი ჯარისკაცების ნაამბობმა ჩვენში გულგატეხილობა გამოიწვია. როცა ფრონტზე მოვხვდით, ჩვენ მალე იმაზე მეტი გამოვცადეთ, რაც გვიამბეს. რუსებთან მძიმე ბრძოლებში მოგვქანცა. დივიზიის ჰოსპიტალი სავსეა ავადმყოფებითა და დაჭრილებით. ისინი იატაკზე ჰყრიან ჭუჭყიან ჩალის ტომრებზე, ყველა გატილიანია. კვება საზიზღარია. გერმანელებმა როგორღაც შეიტყვეს, რომ შევსებაში ბევრი უკმაყოფილოა, და ამიტომ ესპანელებს არ ენდობიან. იმ მცირერიცხოვან ჯარისკაცებს, რომელნიც მართლა თავისი ნებით მოვიდნენ, დივიზიაში „თვითმკვლელებს" ეძახიან. მათ აშკარად დასცინიან და აბუჩად იგდებენ".

• • •

პოლონელმა პატრიოტებმა ქ. ლოძის ახლოს ტყვიამფრქვევი დაუშინეს ოკუპანტთა სატრანსპორტო თვითმფრინავს. თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა და ჩამოვარდა.

ფაშისტთა საშინელი მხეცობა

მოქმედი არმია, 18 ივნისი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ორიოლის ოლქის ერთ-ერთ ოკუპირებულ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმიდან ცნობა მოვიდა, რომ ფაშისტი მტარვალნი ახალ-ახალ საშინელ ხოროტმოქმედებას სჩადიან.

ჰიტლერელებმა საკოლმეურნეო ბეღელში შერეკეს სოფელ ბერიოზკის მცხოვრებნი და 150-ზე მეტი კაცი განგმირეს ხიშტით და დახოცეს კონდახით. კოლმეურნეების 12-13 წლის 11 ბავშვი ფაშისტებმა ცოცხლივ მიწაში დამარხეს. ჰიტლერელები განსაკუთრებული სისასტიკით სდევნიან ქალებს, რომელთაც ბრალად სდებენ პარტიზანებისადმი თანაგრძნობას. გერმანელები რვა-რვა ქალს აბამენ ურემში, იარაღით ემუქრებიან და საომარ მასალას აზიდვინებენ მოწინავე პოზიციებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

(დასასრული)

საერთაშორისო მნიშვნელობას, დეპუტატი ვარესი ესტონელი ხალხის სახელით გამოსთქვამს ამ ისტორიულ დოკუმენტის სრულ მოწონებას და წინადადებას იძლევა რატიფიცირებულ იქნას იგი.

ამხ. ვარესის საბოლოო სიტყვები: —გაუმარჯოს დიდ სტალინს და მის თანამებრძოლს ვ. მ. მოლოტოვს! — ოვაციას იწვევს დარბაზში. დეპუტატები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ამხანაგ სტალინსა და ამხ. მოლოტოვს.

სხდომის თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ანდრეევი იუწყება, რომ შემოსულია წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. ამ წინადადებას იღებენ.

რადგან საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს, ამხ. მოლოტოვი უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე.

დეპუტატ პონომარენკოს წინადადება შეაქვს მიღებულ იქნას შემდეგი დადგენილება:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, მოისმინა რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვის** მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობაზე და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ და მთავრობის წინადადება ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე, **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

2. რატიფიცირებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, დადებული ქალ. ლონდონში 1942 წლის 26 მაისს".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატობრივ ცალ-ცალკე ხმის მიცემით განსაკუთრებული აღფრთოვანებით იღებენ ამ დადგენილებას. ამით მთავრდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა. (საქდესი).

საქართველოს მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას

ბრძნული სტალინური პოლიტიკის ახალი გამარჯვება

გუშინ, ჯერ კიდევ დილით, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა რადიოთი მოისმინეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1942 წლის 18 ივნისის სხდომაზე.

სამუშაოს დამთავრებისთანავე ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეგროვდნენ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობის და ურთიერთდახმარებაზე დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციისადმი.

მიტინგი გახსნა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ნეფარიძემ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ გაკეთებული მოხსენებისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოსთან დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. კვაჭაძე.

ორდენოსანმა სტახანოველმა ამხ. მ. გიწაძემ სთქვა, რომ დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცება ბრძნული სტალინური პოლიტიკის ნაყოფია. სამი დიდი დემოკრატიული სახელმწიფოს —სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას ჩვენ ვუპასუხებთ კიდევ უფრო თავდადებული შრომით ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

სტახანოველმა ამხ. ბაბაევმა ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს მოუწოდა გააძლიერონ მუშაობის ტემპები და ჩვენს ტრანსპორტს მისცენ კიდევ უფრო მეტი ჯანსაღი ვაგონები და ორთქლმავლები.

სასაქონლო-სავაგონო სამქროს სტახანოველმა ამხ. 6. ზუბიევმა განაცხადა, რომ იგი დღეშიდ გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებდა, ამიერიდან კი სრულობს ყოველდღიური დავალებები 300 პროცენტით და კიდევ უფრო მეტი გადაჭარბებით შესრულებს.

სამწყობრო-სავაგონო სამქროს ოსტატმა ამხ. ნ. გოლოვინმა თავისი სამქროს მუშების სახელით განაცხადა, რომ გამარჯვებას მოიპოვებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ორატორების გამოსვლის შემდეგ მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია:

— სიტყვას ვიძლევით გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა ჰიტლერის გერმანიის გასანადგურებლად 1942 წელს და ჩვენი გამარჯვების მოსაპოვებლად.

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელს, დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

მეცნიერ-მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ ჰიტლერის გერმანიის განადგურებისათვის

გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ თანამშრომლები და მუშა-მოსამსახურეები.

მიტინგი გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლულმა მდივანმა ამხ. გ. ტივაძემ.

მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ წაიკითხა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 18 ივნისის სხდომაზე გაკეთებული მოხსენების ტექსტი — „რატიფიკაცია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს ხელშეკრულებისა ჰიტლერის გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე".

— ამ ხელშეკრულების დადება და უმაღლესი საბჭოს მიერ მისი ერთსულოვანი დამტკიცება,—სთქვა დასასრულ აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ,—საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებაა. ჩვენ, მეცნიერ-მუშაკები, აღფრთოვანებით მივესალმებით სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დაჩქარდეს ჰიტლერის გერმანიის საბოლოო განადგურება.

საზოგადოებათა მეცნიერების განყოფილების სწავლული მდივნის მ. ქიქიაშვილის სიტყვის შემდეგ ამხ. მ. გეგეშიძემ წაიკითხა რეზოლუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული მიტინგის მიერ.

საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-პედაგოგთა და სტუდენტთა მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებისადმი და სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციისადმი, მოხსენება გააკეთა უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. დ. ყიფშიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ალ. ჯანელიძე, ბიბლიოთეკარი კასრაძე, სტუდენტი გ. ახვლედიანი და დოცენტი ხუციშვილი.

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა ალ. ჯანელიძემ, რომელმაც ილაპარაკა პირისისხლიანი ჰიტლერელთა გეგმების ჩაშლაზე, ანტიჰიტლერული ბლოკის ზრდაზე ძლიერებაზე და სამი უდიდესი სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე გახსნან ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტი. ხელშეკრულება ინგლისთან და შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა. ეს არის დიდი სტალინის ბრძნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება.

მიტინგზე სიტყვით გამოსულნი მოუწოდებდნენ დამსწრეთ ყველაფერი გააკეთონ ფრონტისათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც, იწონებს რა სსრკ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ინგლის-ამერიკასთან და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად 1942 წელს გაანადგურებს ჰიტლერის გერმანიას.

ქუთაისის მშრომელები მეტსა და მეტ დახმარებას გაუწევენ გმირ წითელ არმიას

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). 19 ივნისს ქალაქ ქუთაისის საწარმო-დაწესებულებებში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულების რატიფიკაციისადმი.

მიტინგებზე დიდი ყურადღებით გაეცნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 1942 წლის 18 ივნისს.

პატრიოტული სიტყვებით გამოსულმა საწარმოთა მოწინავე ადამიანებმა, ერთსულოვნად მოიწონეს რა საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაცია, ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს. მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის ოროსოვანმა ქეთია ქუთათელაძემ განაცხადა, რომ კიდევ უფრო თავდადებულად იმუშავებს მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად.

ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა: საამქრო უფროსმა გ. გურეშიძემ, სტახანოველმა ი. ბაღდასაროვმა, რ კიკვიძემ, ა. მალაყელიძემ საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას ახალი საბრძოლო ვალდებულების აღებით უპასუხეს. მათ იკისრეს გეგმების 350 პროცენტით შესრულება.

ვ. მ. ბაჟრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის ორდენოსანმა სტახანოველმა თინა ბენიძემ, რომელმაც ივნისის პირველი ნახევრის გეგმა 250 პროცენტით შეასრულა, ახალი ვალდებულება აიღო.

ქუთაისის მშრომელები, საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციით აღფრთოვანებულნი, მეტსა და მეტ დახმარებას გაუწევენ გმირ წითელ არმიას 1942 წელს გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებაში.

რ. კინწურაშვილი

ჰიტლერის ხროვის აღსასრული მოახლოებულია

ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშები, მუშაქალები და ინჟინერტექნიკოსი მუშაკები უსაზღვრო კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომამ რატიფიკაცია უყო სსრ კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის 26 მაისს ლონდონში დადებულ ხელშეკრულებას.

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ ფაბრიკაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი. საქ. კ. პ. (ბ) 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სიხარულიძემ მიტინგის მონაწილეთ გააცნო საინფორმაციო ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც ამა წლის 18 ივნისს ჩატარდა, და ამ სხდომაზე ამხ. მოლოტოვის მიერ გაკეთებული მოხსენება.

— ჰიტლერული ხროვის აღსასრული მოახლოებულია, — განაცხადა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა მესამე კორპუსის ოსტატმა ამხ. ფოჩხუამ.—ავაზაკი ჰიტლერი და მისი თანამონაწილენი განადგურებული იქნებიან.

— ჩვენ,—განაცხადა საშტამპო საამქროს სტახანოველმა ქალმა ამხ. ვაშაკიძემ,—რკინის მარწუხებში მოვაქცევთ პირსისხლიან ფაშისტებს და სასტიკ პასუხს ვაგებინებთ ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ამ საზიზღარმა მხეცებმა ჩაიდინეს დროებით დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში.

ისტორიული ხელშეკრულების რატიფიკაციის პასუხად ამხ. ვაშაკიძემ ვალდებულება იკისრა ივნისის საწარმოო დავალება შეასრულოს 170 პროცენტით.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. გოლოვკოვა და ამხ. კარაევა, რომლებმაც ახალი საბრძოლო ვალდებულებები იკისრეს.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ფაბრიკის კოლექტივი გორკეცებული ენერგიით იმუშავებს ფრონტის დასახმარებლად, გადაჭარბებით შეასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ამით ხელს შეუწყობს წითელ არმიას პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში 1942 წელს.

ისტორიული თარიღი

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

მიტინგზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გეტაშვილმა დამსწრეთ წაუკითხა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1942 წლის 18 ივნისს ამხანაგ ვ. მ მოლოტოვის მიერ გაკეთებული მოხსენების ტექსტი.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ამხ. თ. დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ჰიტლერის გერმანიისა და მის დამქაშთა საბოლოო განადგურების ჟამი მოახლოებულია. ამხ. დავითაშვილმა იკისრა მიაღწიოს იმას, რომ მის ცვლაში აღარ ექნეს არცერთი წუნდებული დეტალის დამზადება, არ ეყოლება ცვლაში არცერთი დაზგისანი, რომელიც დავალებას ვერ შეასრულებს. მან აგრეთვე აიღო ვალდებულება ივნისის გეგმა 29 ივნისისათვის შეასრულოს.

ქარხნის ტექნიკური დირექტორი ამხ. ე. ხახარულიძე, საამწყობო საამქროს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ა. შელიუგოვი, საამწყობო საამქროს უფროსი ამხ. ვ. ხორინი, საამწყობო საამქროს ათასიანელი ზეინკალი ამხ. ა. ხუციშვილი აღნიშნავდნენ, რომ ისტორიული მნიშვნელობის თარიღი—18 ივნისის პასუხად გაზრდიან ხუთასიანელთა და ათასიანელთა რიცხვს, მისცემენ ფრონტს მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას, რათა დაეხმარონ გმირ წითელ არმიას 1942 წელს გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებაში.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში გამოხატულია მთელი კოლექტივის მისწრაფება, რომ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით შეასრულონ, გაზარდონ ომიანობის დროის სტახანოველთა რიცხვი და ივნისში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ხელშეკრულების რატიფიკაციას ახალი შრომითი მიღწევებით უპასუხებენ

დაძაბული ყურადღებით და უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მოისმინა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგმა ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და ამ საკითხზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება.

მოხსენების ტექსტი მიტინგს წაუკითხა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. მჭედლიძემ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები: ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გ. ქარცივაძე, საქსოვი საამქროს სტახანოველი თამარ კოპალეიშვილი, მრავალდაზგიანი მქსოველი მირო ლელაძე, ინჟინერი ა. მიქელაძე მხურვალედ მიესალმნენ ორ დიდ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციას და განაცხადეს, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციას ახალი შრომითი მიღწევებით უპასუხებენ, სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას მისცემენ ქვეყანას, წითელ არმიას 1942 წელს ფაშიზმის გასანადგურებლად, გამარჯვებას მოიპოვებენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ფაბრიკის კოლექტივი პირნათლად შეასრულებს საკავშირო სოცშეჯიბრებით აღებულ ვალდებულებებს, მიაღწევს იმას, რომ ფაბრიკაში არცერთი ჩამორჩენილი არ ჰყავდეს და ყველა მუშა ასრულებდეს ნორმებს, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემს 15 ათას მეტრ ქსოვილს.

დავაჩქაროთ ვერაგი მტრის საბოლოო განადგურება

გუშინ თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში შედგა სახელდახელო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციას და ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე.

მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გოგიძე, რომელმაც მიტინგის დამსწრეთ გააცნო ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსი და საინფორმაციო ცნობა.

პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა ამხ. ლიპარტელიანმა, პატიჩაიამ, ბეგიაშვილმა, ლაბაძემ და სხვ., რომლებიც მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას და იკისრეს ვალდებულება კიდევ უფრო უკეთესად იმუშაონ და დაეხმარონ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებს ფაბრიკის თითოეულ მუშას გაძლიერონ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის დაულალავი მუშაობა.

სოხუმის მშრომელთა მიტინგებზე

სოხუმი („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). ქალაქ სოხუმის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

გაეცნენ რა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, მიტინგებზე გამოსული აფხაზეთის დედაქალაქის მშრომელები გამოსთქვამდნენ ღრმა რწმენას, რომ ეს ისტორიული ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება წარმოადგენს ჰიტლერის გერმანიის გარდუვალი განადგურების მძლავრ იარაღს.

სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშაკმა ამხ. რაგონიამ განაცხადა: — საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულება და მისი რატიფიკაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ უდიდეს ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს. ამ ხელშეკრულების განხორციელება უზრუნველყოფს ფაშიზმის საბოლოო განადგურებას 1942 წელს. ჩვენ დაულალავად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ მივცეთ ქვეყანას და არმიას ყველაფერი, რაც საჭიროა მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის.

არტელ „სუხტექსტილის" მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გამოსულმა პ. კონიუშენკომ განაცხადა:

— ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენი გამარჯვების რწმენას, გვაფრთოვანებს შრომაში, ახალ ენერგიას გვმატებს მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ზ. მერკვილაძე

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას

მივცემთ ფრონტს მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებას წულუკიძის რაიონის მშრომელებმა შრომითი აღმავლობით უპასუხეს. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკებმა გადაუდებელ ამოცანად დაისახეს: მეტი მარცვლეული, ხორცი, ბოსტნეული მიაწოდონ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას და ამით დაეხმარონ სახელოვან წითელ არმიას 1942 წელს გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებაში.

ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელების შედეგად წელს შარშანდელთან შედარებით უფრო ადრე და მაღალხარისხოვნად ჩატარდა მარცვლეული კულტურების თესვა. მარცვლეული კულტურები დათესილია 6.510 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.420 ჰექტარისა.

დათესილია ბოსტანი — 221 ჰექტარზე, კარტოფილი 41 ჰექტარზე, თავთავიანი კულტურები გეგმის გადამეტებით 90 ჰექტარზე და ერთწლიანი საკვები ბალახები 240 ჰექტარზე. მაღალი სამხედრო მოსავლის მისაღებად მინდვრად გატანილია 31,200 ტონა საქონლის ნაკელი. სერიოზული სამუშაოები ჩატარდა სარწყავი არხების გაწმენდისა და სათავე ნაგებობათა წესრიგში მოყვანისათვის. შედგენილია და კოლმეურნეობებამდე არის დაყვანილი რწყვის მტკიცე განრიგი, რომ საჭირო შემთხვევის დროს ყველა ფართობი წესიერად ირწყვებოდეს.

თესვის დაწესებულ ვადებში დამთავრებით თავი ისახელა სოფ. ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა მარო სანოძე. ამხ. სანოძე უნარიანად უძღვება კოლმეურნეობის საქმეებს. ამ კოლმეურნეობამ რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრა თესვა, დათესილი აქვს სიმინდი 256 ჰექტარზე და სოია წმინდაზე გადაყვანით 61 ჰექტარზე. თავი ისახელეს აგრეთვე სოფ. კონტუათის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ვ. მუშკუდიანი), ქ. წულუკიძის სტურუას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სერაფიონ ხუნწელია), ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ბახტაძე) და სოფ. გორდის კოლმეურნეობა „წინსვლამ" (თავმჯდომარე ლ. გოდერიძე) და სხვ.

კრასნოდარელ კოლმეურნეთა პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით თავდაცვისა და გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდისათვის ათეულ ჰექტარობით დასთესეს საგაზაფხულო კულტურები.

საგაზაფხულო თესვის დროულად დამთავრებას დიდად შეუწყო ხელი მტს-ის კარგმა მუშაობამ.

მტს-მა საგაზაფხულო ხვნა ჯერ კიდევ 1 მაისისათვის გადამეტებით შეასრულა, — მოხნა 1.500 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 ჰექტარისა. ხვნის საქმეში მოწინავეა პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ჯიქია), რომელმაც ნაცვლად 368 ჰექტარისა მოხნა 510 ჰექტარი და დაზოგა 1.391 კილოგრამი საწვავი მასალა. ტრაქტორისტმა ჩხეტიანმა 171 პროცენტით შეასრულა ხვნის გეგმა და 201 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

ლიუდმილა ბარაბაძემ, ნინო ფირცხალავამ, ლიდა ბარაბაძემ და სხვებმა სამამულო ომის დღეებში შეისწავლეს ტრაქტორის მართვა და შესცვალეს წითელ არმიაში გაწვეული ტრაქტორისტები. ტრაქტორისტი ქალები დაულალავად მუშაობენ და ყოველდღიურ გეგმებს 140-160 პროცენტით ასრულებენ.

რაიონში გაჩაღებულია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. კოლმეურნეები ნ. ბახტაძე, ზ. სანოძე, ა. ყურაშვილი, ს. შავდია, პ. სანოძე ჩაის კრეფის დღიურ ნორმებს ოთხმაგად და ხუთმაგად ასრულებენ.

რაიონში წელს საუკეთესოდ მოუარეს აბრეშუმის ჭიას. პარკის ლხვი მოსავალია. პარკის დამზადება უკვე დაიწყო. რაიონი წელს სახელმწიფოს მისცემს 200 ათას კილოგრამზე მეტ აბრეშუმის მაღალხარისხოვან პარკს.

გვაქვს ნაკლოვანებანი მეცხოველეობის განვითარების დარგში. გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში იყო საქონლის დაცემის შემთხვევები. მიღებულია ყოველგვარი ზომა მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დღეებში აღმოფხვრისათვის.

სრულიად-საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ კოლმეურნე გლეხობა აღაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცემენ მეტ სურსათს და ნედლეულს მრეწველობისათვის.

ლ. გოგიძე

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

თხუთმეტს შორის გამარჯვებული

წალენჯიხა („კომუნისტის" სპეც. კორ.). წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ საუკეთესო მუშაობისათვის ჩაიბარა საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის თვიური გარდამავალი დროშა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მეურნეობამ წინ გაუსწრო ამ ტრესტში შემავალ ყველა დანარჩენ 14 მეურნეობას. მეურნეობა თავის გეგმებს გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებს. სახელმწიფო გეგმით მეურნეობამ უნდა მოკრიფოს 800.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მეურნეობის კოლექტივმა კი იკისრა ამ გეგმას 100.000 კილოგრამით გადააჭარბოს. არის ყველა ნიშანი იმისა, რომ მეურნეობა თავის დაპირებას გაანაღდებს. მაისის გეგმა მან შეასრულა ათ დღეში და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ტონისა მოკრიფა — 230 ტონა. აქედან პირველი ხარისხის ფოთოლი შეადგენს 80,5 პროცენტს, გეგმით მიცემული 60 პროცენტის ნაცვლად. მეურნეობას აქვს რამდენიმე ჰექტარი სიმინდის ნათესი, რომლის პირველი გათოხნა მან პირველი ივნისისათვის დაამთავრა. წელსვე მან შექმნა მტკიცე დამხმარე მეურნეობა მუშა-მოსამსახურეთა მომარაგებისათვის: დასთესა კარტოფილი 6 ჰექტარზე, კომბოსტო — 2 ჰექტარზე.

მეურნეობაში მოწინავე როლს ასრულებს კომკავშირული და კავშირგარეშე ახალგაზრდობა, რომელმაც მეურნეობას ათობით ჩაის კრეფის ოსტატი მისცა. მოწინავეთა პირველ რიგებში დგანან ლენა საფაროვა, მარია აფანასევა, თამარ ქანთარია, რომელთაგან თითოეული ყოველდღიურად 100-110 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს. ამასწინათ გამართულ თათბირზე, რომელმაც მოწოდებით მიმართა წალენჯიხის რაიონის კომკავშირელებს და კავშირგარეშე ახალგაზრდობას, მეურნეობის ახალგაზრდა მუშათა კოლექტივმა აიღო ვალდებულება ყოველდღიური ნორმა სამმაგად შეასრულოს იმ ანგარიშით, რომ თითომ სეზონში მოკრიფოს არანაკლებ 4.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლისა.

წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ი. ს. ფანჩულია მომზადებული შეხვდა ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობის „ლენინის" მიმართვას: იკისრა ახალი ვალდებულებანი (სახელდობრ — ყოველი ჰექტარიდან გეგმით გათვალისწინებული 1.380 კილოგრამის ნაცვლად აიღოს 2.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით, შეამციროს თვითღირებულება 10 პროცენტით, გაადიდოს საბოსტნე კულტურების ნათესი 10 ჰექტარით და სხვ.) და თავის მხრივ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

კიროველები გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელმა ქარხანამ ივნისის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით დაამზადა 4 ჩარხი, დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანა 25 მოწაფე, მათ შორის 2 დიასახლისი.

ქარხნის კოლექტივმა ივნისის პირველ ნახევარში სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატიდან მიიღო ფულადი ჯილდო 40.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხის უმეტესი ნაწილით ქარხნის ადმინისტრაციამ დააჯილდოვა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებული 190 მუშა.

მექანიკურმა (უფროსი ამხ. ხვედელიანი), ინსტრუმენტალურმა (უფროსი ამხ. გოგოლაძე) და სპეცსაამქრომ (უფროსი ამხ. ხორინი) ივნისის პირველი დეკადის გეგმები გადამეტებით შეასრულეს. მექანიკური საამქროს გამჩარხველი ამხ. შკირინდა და მრანდავი ამხ. ლაბორი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 300 პროცენტით ასრულებენ, მჩარხავი ამხ. დოლიძე—400 პროცენტით, ხოლო ხარატი ამხ. ზამულა, რომელიც ივნისის პირველი რიცხვებიდან ხარატის ხელობაზე 4 ახალ მოწაფეს ამზადებს, ყოველდღიურად 5-6 ნორმას იძლევა.

გეგმა შესრულებულია 126 პროცენტით

„სამტრესტის" ლიქიორის № 3 ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ქარხანამ 15 ივნისისათვის 126 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. თვითღირებულება 5 პროცენტის ნაცვლად შეამცირა 15,5 პროცენტით.

ქარხნის დირექტორი **ვ. კიკაჩეიშვილი**

ЗАРЯ ВОСТОКА
Пролетарии всех стран, соединяйтесь!
ГОД ИЗДАНИЯ 20-ЫЙ

XX წელი

ფრონტის დასახმარებლად

ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებმა უდიდესი საბრძოლო მუშაობა გააჩაღეს.

ნავთის მრეწველობისა და საფეიქრო მრეწველობის მუშაკები, ქვანახშირისა და მარგანეცის მაღაროების მუშები, მანქანათმშენებლები და დაზგათმშენებლები, მსუბუქი მრეწველობის, კვებისა და სატყეო მრეწველობის და საქართველოს მრეწველობის სხვა დარგების მუშაკები დაძაბულ ბრძოლას ეწევიან საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, აქტიურად ეხმარებიან მშობლიურ წითელ არმიას, ფრონტს.

„ზარია ვოსტოკა" დღითიდღე აშუქებს საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მრავალფეროვან მუშაობას. სამხედრო ეკონომიკის საკითხებმა გაზეთის ფურცლებზე საპატიო ადგილი დაიკავეს.

ჩვენი ქვეყნის როგორც სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც სოციალისტური შეჯიბრება ჩაღდება კონკრეტული სამრეწველო დარგების მიხედვით. „ნავთი", „ქვანახშირი", „მარგანეცი", „საფეიქრო ნაწარმი", „ტრანსპორტი"—ამ სათაურებით სისტემატურად თავსდება მასალა, რომელიც „ზარია ვოსტოკას" მკითხველს აცნობს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას საქართველოს საწარმოებში, აცნობს მოწინავეებს და იმათ, ვინც შეჯიბრებაში ჩამორჩენილია.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშუქების საქმეში გაზეთი იყენებს მთელ რიგ ახალ ფორმებს და ცდილობს გაზარდოს თავისი ყოველი მასალის მამობილიზებელი მნიშვნელობა. ყველა ამ მასალების ცენტრში არიან საწარმოთა ადამიანები, მათი გამოცდილება, ინიციატივა, მათი საბრძოლო მუშაობა ფრონტის დასახმარებლად. გაზეთის ფურცლებზე ერთ-ერთ ახალ მუდმივ განყოფილებას სახელწოდებაც ასეთი აქვს—„საბრძოლო დახმარება ფრონტისადმი". აქ თავსდება საწარმოებიდან მიღებული მოკლე ოპერატიული ცნობები ათასიანთა, ხუთასიანთა, ორასიანთა მიღწევების შესახებ, რაციონალიზატორული ინიციატივის შესახებ, ჩქარი მუშაობის მეთოდებისა და თავდადებული შრომის სხვა ნიმუშების შესახებ. ამ ცნობათა ავტორები მეტწილად წარმოების მეთაურები და სტახანოველები არიან.

დიმიტრი ბოსის ინიციატივას საქართველოს მრავალი საწარმო გამოეხმაურა. გაზეთმა უკვე საკმაო რაოდენობით უჩვენა ამხანაგ ბოსის მიმდევარნი საქართველოს მრეწველობაში და კვლავ თვალს ადევნებს ახალ ათასოვანთა რიცხვის ზრდას, ათავსებს წერილებს მათი მუშაობის გამოცდილების შესახებ. მაგალითად, გაზეთმა მოათავსა წერილი ზეინკალ მიხეილ ჯოხაძის (თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა) გამოცდილების შესახებ, რომელიც ცალკეულ დღეებში ნორმებს 1.000—2.000 პროცენტით ასრულებს, ხარატ პ. ჩიქვინიძის (ქუთაისის ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის მექანიკური სახელოსნო) და წარმოების სხვა მოწინავეთა შესახებ, რომლებსაც წარმატებით გადააქვთ დიმიტრი ბოსის ნოვატორული ინიციატივა.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში მისი მონაწილეები უძვირფასეს საწარმოო გამოცდილებას აგროვებენ. გაზეთის ერთ-ერთი ახალი მუდმივი განყოფილებაა „შეჯიბრების მონაწილეთა გამოცდილებიდან". უკანასკნელ ხანს ამ განყოფილებაში მოთავსებული იყო თბილისის ელექტრომავლების დეპოს კოლექტივის მუშაობის საინიციატივო ნიმუშებისადმი მიძღვნილი წერილი (ელექტრომავლების ურემონტო გარბენა, ელექტრომავლების საშუალო რემონტი მოძრაობის გრაფიკიდან გამოუსვლელად და სხვ.), დაზგების ტექნიკური ალჭურვისადმი მიძღვნილი წერილი—„დაზგა ჩემი იარაღია" (თბილისის საორთქლმავლო დეპოს გამოცდილების მიხედვით) და სხვ. განყოფილებაში—„წერილები შეჯიბრების შესახებ" სტახანოველები და საწარმოთა ხელმძღვანელები აყენებენ მთელ რიგ ახალ საკითხებს, გამოდიან არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკით, სახავენ მათი ლიკვიდაციის გზებს.

გაზეთი ახლა თავის ფურცლებზე წამყვან ადგილს უთმობს მუშათა ახალი კადრების მომზადებისა და აღზრდის საკითხებს. საქართველოს საწარმოებში არ უნდა იყოს არც ერთი მუშა, რომელიც ნორმებს ვერ ასრულებდეს!—ამ ლოზუნგით მოთავსებული იყო მთელი რიგი წერილები და კორესპონდენციები. ამ მხრივ განსაკუთრებით ქმედითი აღმოჩნდა წამყვან საწარმოთა ცალკეული საამქროების მუშაობის შემოწმების ფორმა.

მ. ი. კალინინის სიტყვამ მოსკოვის საწარმოთა პარტიული მუშაკების თათბირზე 1942 წლის 21 აპრილს, რომელშიც შესანიშნავად იყო დაყენებული საკითხი რიგითი, საშუალო მუშის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა მთავარი ყურადღება დავუთმოთ ეგრეთწოდებულ საშუალო ადამიანებს წარმოებაში, გაზეთს ფართოდ გამოსვლის საბაბი მისცა. 4 ივნისს „ზარია ვოსტოკა" გამოვიდა მოწინავე სტატიით—„რიგითი, საშუალო მუშის შესახებ" და დიდი კონკრეტული მასალით ამავე თემაზე (შესამოწმებლად აღებული იყო თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მექანიკური საამქრო).

მრეწველობისა და ტრანსპორტისადმი, სოციალისტური შეჯიბრებისადმი მიძღვნილ თავის მოწინავე სტატიებში გაზეთი ცდილობს დააყენოს კონკრეტული საჭირბოროტო საკითხები. ასეთებია, მაგალითად, მაის-ივნისში მოთავსებული მოწინავე სტატიები: „ოსტატი და ახალი მუშები", „ჩვენში არ უნდა იყოს ჩამორჩენილი საწარმოები", „საწარმოთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა" (ომიანობის დროის გრაფიკის შესახებ), „მთლიანად გამოვიყენოთ ყოველი დაზგა" (ამხ. ბოსის სტატიასთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნებული იყო „პრავდაში" სათაურით: „სტახანოვური დაზგის ალჭურვა") და სხვ.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების მომენტიდან გაზეთის აქტივი საქართველოს საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, გაზეთის კავშირი საწარმოებთან კიდევ უფრო განმტკიცდა. ეს არის მთავარი, რაც ახლა „ზარია ვოსტოკას" ეხმარება დღითიდღე ოპერატიულად დააყენოს და გააშუქოს სოციალისტური შეჯიბრების საკითხები, ომიანობის დროის პირობებში საქართველოს მრეწველობის მუშაობის საკითხები.

არ. რაბინოვიჩი

„ზარია ვოსტოკას" სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე

გაზეთის ყოველი სტატია, ყოველი შენიშვნა, ყოველი სტრიქონი გაჟღენთილი უნდა იყოს შეურიგებელი ბრძოლით პარტიის გენერალური ხაზისათვის, ყოველი ფორმულირება პოლიტიკურად მკაფიოდ გამახვილებული უნდა იყოს, ყოველი ფრაზა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ განახორციელოს სწორი პოლიტიკური ზეგავლენა მკითხველთა ფართო მასებზე.

ლ. პ. ბერია

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია და მთელი კოლექტივი მხურვალე სალამს უძღვნიან საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს „ზარია ვოსტოკას" მისი არსებობის ოცი წლისთავზე.

ბოლშევიკური პრესის **ლენინურ-სტალინური** ტრადიციების ერთგულმა „ზარია ვოსტოკამ" დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე ამხანაგი **ლავრენტი ბერია**, „ზარია ვოსტოკა" კიდევ უფრო მებრძოლი, ინიციატივიანი და ოპერატიული ორგანო გახდა.

„ზარია ვოსტოკამ" განვლო სახელოვანი ბრძოლის გზა. დიდია მისი როლი საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის არნახულ აყვავებაში. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით „ზარია ვოსტოკამ" მრავალ დარგში გვიჩვენა ძვირფასი ინიციატივა. „ზარია ვოსტოკამ" დიდად შეუწყო ხელი ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას **ლენინურ-სტალინური** ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებისათვის დაუღალავი ბრძოლით.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში „ზარია ვოსტოკა" ფართოდ უჩვენებს ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს, თავის ბასრ მახვილს მიმართავს პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პრესის მგზნებარე საქმეებით ხელს უწყობს ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია და მთელი კოლექტივი მხურვალედ ულოცავენ „ზარია ვოსტოკას" არსებობის სახელოვანი ოცი წლისთავს და უსურვებენ გერმანელი ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ახალ-ახალ წარმატებებს დიდი **სტალინის** ისტორიულ მითითებათა განუხრელად განხორციელებაში.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია

გაზეთის მასობრივი მუშაობა

გაზეთი „ზარია ვოსტოკა" დიდ მასობრივ მუშაობას ეწევა მკითხველთა, კორესპონდენტთა და ძირეული პრესის მუშაკთა შორის. რედაქციის მიერ სისტემატურად ხორციელდება მასობრივი მუშაობის მნიშვნელოვანი ღონისძიებები; ეწყობა კორესპონდენტთა საქალაქო და რაიონული შეკრებები, ძირეული პრესის მუშაკთა თათბირები, კონსულტაციები. კრებებსა და თათბირებზე ფართოდ შუქდება მუშკორების, სოფლკორებისა და კედლის გაზეთების ამოცანები პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, ხდება აქტივის ყურადღების მობილიზაცია ძირითადი საკითხების ირგვლივ. ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე რედაქციამ თბილისსა და ქუთაისში მოაწყო საქალაქო შეკრებანი, სადაც განხილულ იქნა საკითხი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებათა საფუძველზე შრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვის ღონისძიებათა გატარების საქმეში ძირეული პრესის მუშაკებისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ.

ქობულეთში რაიონული გაზეთის რედაქციასთან ერთად ჩატარებულ საკოლმეურნეო კედლის გაზეთების აქტივისა და სოფლკორთა თათბირზე განხილულ იქნა **სტალინური** საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ გატარებისა და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საქმეში ძირეული პრესის ამოცანები. ასეთი თათბირები რედაქციამ ჩაატარა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში. თათბირებსა და კრებების ჩატარებას ყოველთვის წინ უძღვის კედლის გაზეთების მუშაობის შემოწმება. მაგალითად, ძირეული პრესის მუშაკთა და სოფლკორთა იმ თათბირების წინ, რომელიც ხაშურისა და ალბულაღის რაიონებში ჩატარდა, რედაქციის მუშაკებმა 50-მდე საკოლმეურნეო და საწარმოს კედლის გაზეთი შეამოწმეს. თათბირებზე ამხილეს მოწინავე და ჩამორჩენილი კედლის გაზეთების შესახებ და განუმარტეს აქტივსა და სოფლკორებს, თუ როგორი უნდა იყოს მოწინავე კედლის გაზეთი, რა საკითხებს უნდა აშუქებდეს იგი.

რედაქციიდან გაგზავნილი სპეციალური ბრიგადა ალბულაღის რაიონის კოლმეურნეობებში ორნახევარი თვის განმავლობაში უშვებდა 4-გვერდიან გაზეთ „ზარია ვოსტოკას", რომელიც აშუქებდა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს საკოლმეურნეო მიწით სარგებლობის შესახებ, აკრიტიკებდა ამ საქმეში დაშვებულ შეცდომებს. გაზეთის ფურცლებზე თავსდებოდა სოფლკორთა, მიწისმომწყობთა და სხვათა წერილები. ბრიგადამ გაზეთის გამოშვებასთან ერთად ჩაატარა სოფლკორთა შეკრება, დაეხმარა საკოლმეურნეო კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს რედაქციამ მოაწყო ძირეული პრესის მუშაკთა რადიოგამოძახება. ამ გამოძახების საშუალებით კედლის გაზეთის რედაქტორებმა ერთმანეთს მოუთხრეს, თუ როგორ ემზადებიან ისინი ამ უაღრესად სერიოზული კამპანიისათვის, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

რედაქციამ მასობრივი მუშაობა განსაკუთრებით გააფართოვა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში. მარტო მიმდინარე წელს ძირეული პრესის მუშაკთა დასახმარებლად ორი ათასზე მეტი აქტივისტისათვის მოეწყო თემატიური კონსულტაციები. მათი თემატიკა უშუალოდ იმ ამოცანებიდან გამომდინარეობს, რომელსაც საერთოდ პრესისა და, კერძოდ, ძირეული პრესის წინაშე საომარი ვითარება აყენებს; მაგალითად, ძირეული პრესის ამოცანები სამამულო ომის დღეებში, სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება და ძირეული პრესის ამოცანები, საკოლმეურნეო კედლის გაზეთების როლი საგაზაფხულო თესვის ჩატარებაში. ძირეული პრესის მუშაკებისადმი დახმარების მიზნით რედაქცია სისტემატურად აწყობს საწარმო-დაწესებულებებისა და საკოლმეურნეო კედლის გაზეთების მასალების განხილვას. მიმდინარე წელს **315** კედლის გაზეთის მასალების განხილვა მოხდა. თბილისის გარნიზონის კედლის გაზეთების განხილვის შედეგად მოწვეულ თათბირს, რომელიც მიმდინარე წლის 4 მაისს ჩატარდა, 250-ზე მეტი აქტივისტი დაესწრო. განხილვის შედეგებზე მოხსენება გააკეთა რედაქციის წარმომადგენელმა. ამ თათბირმა გარნიზონის ძირეული პრესის აქტივს ცოტა დახმარება როდი გაუწია. რედაქციამ მოაწყო აგრეთვე შირაქისა და წითელწყაროს მტს-ების კედლის გაზეთების, თბილისის მაცივარისა და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს კედლის გაზეთების მასალების განხილვა.

რედაქციასთან არსებულ მუშკორთა კაბინეტში, რომელიც დაახლოებით ოთხი წლის წინათ გაიხსნა, დიდი მასობრივი მუშაობაა გაჩაღებული. კაბინეტს აქვს სალექციო დარბაზი და ბიბლიოთეკა. მუშკორები და ძირეული პრესის მუშაკები ხშირად იყრიან აქ თავს. მათთვის ტარდება კონსულტაციები, ლექციები სამამულო ომის თემებზე, ხდება კედლის გაზეთების განხილვა, ეწყობა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრა. მიმდინარე წელს ჩატარდა კითხვა-პასუხის საღამო. ასამდე შეკითხვას პასუხი გასცეს მოწვეულმა სპეციალისტებმა. ახლახან ჩატარდა სამამულო ომის თემაზე დაწერილი ვ. როკის ახალი პიესის „ინჟინერ სერგეევის" განხილვა. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობდნენ მუშკორები და ძირეული პრესის მუშაკები.

რედაქციამ აპრილში მოაწყო სსრ კავშირისა და რსფსრ სახალხო არტისტებისა და დამსახურებული მსახიობების ვ. კაჩალოვის, ო. კნიპერ-ჩეხოვას, მ. თარხანოვის, მ. კლიმოვის, ვ. რიჟოვას, ვ. მასალიტინოვასა და სხვებთან მუშკორებისა და ძირეული პრესის მუშაკების შეხვედრა.

ხშირად ეწყობა მუშკორთა და ძირეული პრესის აქტივისათვის ახალი კინოსურათების კოლექტიურად ჩვენება.

მასობრივ მუშაობაში „ზარია ვოსტოკას" ძვირფასი ინიციატივა აქვს. სამამულო ომის დღეებში გაზეთი კიდევ უფრო ფართოდ იყენებს და ავითარებს ამ გამოცდილებას.

მ. კალანდაძე

„ზარია ვოსტოკას" ბიბლიოთეკა

მკითხველთა ფართო მასები კარგად იცნობენ „ზარია ვოსტოკას" გამომცემლობის პროდუქციას. მრავალი მხატვრული ლიტერატურული ძეგლი შესძინა ამ გამომცემლობამ ჩვენს ბიბლიოთეკებს და წიგნსაცავებს.

მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში — 1941 წლის 22 ივნისიდან მიმდინარე წლის 20 ივნისამდე — „ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ მკითხველთა ფართო მასებს მიაწოდა, გარდა სხვადასხვა სააგიტაციო ფურცლებისა და ერთდღიური გამოცემებისა, 27 სახელწოდების პოლიტიკური წიგნი, 5 სახელწოდების მხატვრული ლიტერატურის ძეგლი და 3 სახელწოდების ე. წ. „ჯიბის წიგნი". ამჟამად წარმოებაშია და ახლო ხანში გამოვა 6 სახელწოდების წიგნი.

„ზარია ვოსტოკას" ბიბლიოთეკა" — ასეთი დევიზით გამოცემულ წიგნთა და ბროშურათა საერთო ტირაჟი მარტო ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში 200.000 ცალს აჭარბებს.

„ჯიბის წიგნების" გამოცემა საქართველოს გამომცემლობების პრაქტიკაში ახალი წამოწყებაა. პორტატული ფორმატის, ადვილად წასაკითხ ამ „ჯიბის წიგნზე" მოთხოვნილება დიდია. სატირიკული ლექსები კარიკატურით, სტატიების კრებულები, რაც დიდ სამსახურს უწევს აგიტატორებს, ეკონომიურ ნარკვევთა კრებულები და სხვა თემატიკაზე გამოცემული წიგნები დამსახურებულად იქცევენ ფართო მასების ყურადღებას.

წელს დაიწყეს აგრეთვე მცირე ფორმატის ცალკეული წიგნების გამოშვება ბოლშევიზმის ისტორიის საკითხებზე. უკვე გამოსულია ორი ასეთი წიგნი — „მოგონებები ა. წულუკიძეზე, ლ. კეცხოველსა და ვ. კურნატოვსკიზე" და „მუშათა საბრძოლო რაზმები". წიგნებში მოთავსებულია ამხ. ნ. ალაჯალოვას, ვ. კეცხოველის, გ. ლელაშვილის, გ. ნინუას, გ. პარკაძის და ს. ჯინჭველაშვილის მოგონებები.

გარდა ამ ორი წიგნისა, ყველა დანარჩენი ახალი გამოცემული წიგნები მიძღვნილია სამამულო ომის თემატიკისადმი.

ი. თავაძე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში

საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანო

სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო „ზარია ვოსტოკამ". ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს — „ზარია ვოსტოკას" პირველი ნომერი ამ ოცი წლის წინათ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის სამი თვის შემდეგ გამოვიდა. ეს იყო 1922 წლის 20 ივნისს. მას შემდეგ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მაღლა უჭირავს **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი დროშა. იგი წმინდად ინახავს ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს, რომელსაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საფუძველი ჩაუყარა დიდმა **სტალინმა**.

ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიქმნა და განმტკიცდა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, როგორც ისეთი სპეციალური ორგანო, რომელიც, ამხანაგ **სტალინის** გენიალური განსაზღვრით, შესძლებდა „ეროვნებათა ურთიერთ დამოკიდებულების მოწესრიგებას"[1]). ნაციონალუკლონისტებს, როგორც ამხანაგი ლავრენტი **ბერია** ამბობს, არ ჰქონდათ შეგნებული, რომ „ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცების საკითხი იმ პერიოდში წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხს". „ზარია ვოსტოკამ", რომელსაც მაღლა ეჭირა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ძლევამოსილი დროშა, დიდი როლი შეასრულა ნაციონალ-უკლონისტების, ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართული ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა მემარჯვენე ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ცალკეულ ფენებზე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, მენშევიკური და კულაკური ელემენტების ზეგავლენას, იგი იყო შემტევი ქართული შოვინიზმის აშკარა გამოხატულება, რომელიც ცდილობდა ამიერ-კავკასია გადაექცია ეროვნებათა შორის შეტაკების ქვეყნად. „ამიტომ იყო, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ასე დაუნდობლად ანადგურებდნენ მაშინ ნაციონალუკლონიზმს"[2]). ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნასა და განმტკიცებაში, ნაციონალ-უკლონისტების, მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს ამხანაგ სერგო **ორჯონიკიძის** უშუალო ხელმძღვანელობით. ამ ბრძოლაში „ზარია ვოსტოკა" მტკიცედ იცავდა პარტიის გენერალურ ხაზს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შემდგომი აყვავებისა და გაფურჩქვნის საქმეში, გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" თავის სამოქმედო პროგრამად გაიხადა. ამ დადგენილების საფუძველზე გაზეთმა კიდევ უფრო გააძლიერა მშრომელთა ფართო მასებში ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობა. გაზეთი ხელს უწყობდა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლებისა და პარტიული რიგების შემდგომი შემჭიდროების, მათი მონოლიტობის მიღწევის საქმეს. უდისციპლინობისა და ჯგუფობრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში „ზარია ვოსტოკამ" დიდი მუშაობა ჩაატარა მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**. გაზეთმა კიდევ უფრო ოპერატიული, მებრძოლი სახე მიიღო, იგი უფრო ქმედითი და აქტიური გახდა იმიტომ, რომ მას დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდა პირადად ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ხალხის მტრების, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ბუხარინელების — პირსისხლიანი ფაშიზმის ამ საზიზღარი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში „ზარია ვოსტოკა" განუხრელად ხელმძღვანელობდა დიდი **სტალინის** მითითებებით ბოლშევიკური სიფხიზლის შესახებ.

სოციალისტური მშენებლობის წლებში „ზარია ვოსტოკამ" ხშირად გვიჩვენა ძვირფასი ინიციატივა, რამაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ მხრივ გაზეთმა დიდი გამოცდილება დააგროვა, რის შესახებაც მოთხრობილია წიგნში—«Опыт газеты «Заря Востока» [3]). ამ წიგნის წინასიტყვაობაში ამხანაგი ლავრენტი **ბერია** სწერს:

„გაზეთი „ზარია ვოსტოკა"—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ორგანო, მუშაკთა კოლექტივის და მისი მეთაურის რედაქტორ ამხ. **ვ. გრიგორიანის** უნარიანი და კარგი მუშაობის შედეგებით, გვიჩვენებს მუშაობის საკმაო კარგ ნიმუშებს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისა და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის საკითხთა გაშუქების დარგში, რაც არაერთხელ აღუნიშნავს ხელმძღვანელ ცენტრალურ პრესას".

მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის დარგში სოციალისტური შეჯიბრების დანერგვა, მოწინავე ადამიანები — დამკვრელები, სტახანოველები, სტალინური წესდების განუხრელად გატარებისათვის ბრძოლა კოლმეურნეობებში, ახალი ადამიანების აღზრდა—ყველა ამ საკითხებს გაზეთი უნარიანად და ფართოდ აშუქებდა. „ზარია ვოსტოკა" ნამდვილად იყო და არის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე ინიციატორი.

„განსაკუთრებით ძვირფასია „ზარია ვოსტოკას" გამოცდილება საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური პრესის ისტორიის საკითხთა გაშუქების დარგში, პრესისა, რომელიც შექმნა ამხანაგმა **სტალინმა** და რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა", — სწერს ამხანაგი ლ. ბერია.

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ისტორიული ნაშრომის—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" გამოქვეყნების შემდეგ „ზარია ვოსტოკამ" მკითხველებს ფართოდ უჩვენა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ამხანაგ **სტალინის** სახელთან და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები, გააცნო ახალი მასალები ბოლშევიზმის ისტორიის საკითხებზე. ამ დიდ თემას გაზეთმა მთელი რიგი ორიგინალური სტატიები და სპეციალური ილუსტრირებული გვერდები მიუძღვნა, მოათავსა ძველი მუშების მოგონებანი დიდ სტალინზე, ბელადის სამშობლო ქალაქ გორის წარსულზე, ისტორიულ ადგილებზე ბაქოში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში. 1938 წლის თებერვალში გაზეთმა თავისი ინიციატივით მოათავსა მასალები თბილისის ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის საკითხებზე, სადაც რამდენიმე ეპიზოდი უჩვენა საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის წარსულიდან.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ გაზეთმა ფართოდ გაშალა ბოლშევიზმის ისტორიის პროპაგანდა, მთელი რიგი ორიგინალური და სპეციალური წერილები მოათავსა **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ისტორიის საკითხებზე. ამით იგი დიდ დახმარებას უწევდა „მოკლე კურსის" შემსწავლელებს, აგრეთვე აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, აძლევდა რა კონკრეტულ მასალას ცოდნის დონის ამაღლებისათვის. გაზეთი ბეჭდავდა კონსულტაციებს, პასუხებს შეკითხვებზე, აგრეთვე ცენტრალურ გაზეთებსა და ჟურნალებში მოთავსებულ საინტერესო მასალებს, საერთაშორისო მიმოხილვებს და სხვ. „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე ოპერატიული, ქმედითი გახდა პარტიული ცხოვრების განყოფილება, რომელშიაც თავსდება პარტორგანიზაციების ხელმძღვანელების, აგრეთვე პროპაგანდისტების, აგიტატორების, სტახანოველების, ოსტატების წერილები. თუ რა მონაწილეობას ღებულობს პარტიული აქტივი ამ განყოფილებაში, ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტი: 1941 წელს მოთავსებული 783 წერილიდან 328 წერილი პარტიულ აქტივს ეკუთვნის.

„ზარია ვოსტოკას" მაღლა უჭირავს ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშა. ამ საკითხს გაზეთი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიის დროს. „ზარია ვოსტოკას" ეკუთვნის ძვირფასი ინიციატივა—ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება. გაზეთის ინიციატივით საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეები მეგობრული წერილებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ამის შედეგად მათ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მისაღებად. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მოწინავე კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს უკრაინელ კოლმეურნეებს და პირველად წერილი მიიღეს გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან. ამან პრაქტიკული დასაწყისი მისცა ძვირფას ინიციატივას, რომელმაც შემდეგ უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სხვა მთელი რიგი გაზეთების მხრივ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. საქართველოსა და უკრაინის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცების დროშით. ამ შეჯიბრების პირველი შედეგები შეჯამებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ამ დღეს სსრ კავშირის ყველა გაზეთში დაიბეჭდა საქართველოს კოლმეურნეთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი. წერილს ხელს აწერდა 28.326 კოლმეურნე.

საქართველოსა და უკრაინის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებშიც. 9 ივნისს „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფელ გოლუბოვკის კოლმეურნეთა წერილი მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეებისადმი, სადაც ისინი ლაპარაკობენ, რომ პირსისხლიანი ფაშისტი ავაზაკებისაგან განთავისუფლებული უკრაინის რაიონები და სოფლები განაგრძობენ სოციალისტურ შეჯიბრებას მოძმე საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებთან. ეს წერილი ღრმა პატრიოტული დოკუმენტია. იგი ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის ფოლადისებურ სიმტკიცეს, ურყევ ერთიანობას და რკინისებურ ნებისყოფას გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში „ზარია ვოსტოკამ" მთელი თავისი მუშაობა დაუქვემდება-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

1) ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი" 1934 წ., გვ. 160.

2) ლ. პ. ბერია. „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია". 1936 წ. გვ. 13.

3) გამოვიდა მოსკოვში, 1940 წელს.

ჩერჩილის ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რუზველტის პირადმა მდივანმა ერლიმ განაცხადა, რომ ჩერჩილი და რუზველტი თათბირობენ ომის წარმოებისა და გამარჯვების უზრუნველყოფის საკითხებზე. პასუხად რა კითხვაზე, დღის წესრიგშია თუ არა მეორე ფრონტის პრობლემის განხილვაო, ერლიმ განაცხადა: „მე მგონია, შეიძლება სრული საფუძვლით ვივარაუდოთ, რომ ჩერჩილი ამ მიზნით ჩამოვიდა".

ეხება რა ჩერჩილის გამგზავრებას ვაშინგტონს, გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სწერს: „იმ მოლაპარაკების პირველ რიგში, რომელსაც ჩერჩილი აწარმოებს, სდგას საკითხი გერმანელების წინააღმდეგ შეტევის შესახებ. ის ფაქტი, რომ ჩერჩილს თან ახლავან გენერლები, ალან ბრუკი და ისმეი, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სახმელეთო ოპერაციები იქნება ძირითადი პრობლემა, რომელსაც ისინი განიხილავენ. ამავე დროს განხილულ იქნება ომის ძირითადი საკითხებიც, მათ შორის ტონაჟის საკითხიც".

მოსახლეობის ევაკუაცია ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროდან

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). აფის სააგენტო საფრანგეთის საზღვრიდან გადმოგვცემს, რომ გერმანელმა ხელისუფლებმა ბრძანება გასცეს ევაკუირებულ იქნას ფრანგი სამოქალაქო მოსახლეობა სანაპიროდან ბულონით დაწყებული დიეპამდე. ეს ღონისძიება, როგორც აღნიშნავენ, მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს ფრანგ მოსახლეობას ინგლისელთა დამქვრელი რაზმების დახმარებაში.

გერმანიის არმიის უდიდესი დანაკლისი

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გერმანელთა წრეებთან დაახლოებული ინფორმირებული ნეიტრალური წყაროებიდან შეიტყეს, რომ გერმანელთა დანაკლისი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უდიდესია. ყოველ სამ ჯარისკაცსა და ორ ოფიცერში, რომლებიც გაგზავნილი არიან სსრ კავშირის წინააღმდეგ ფრონტზე, ერთი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი მოკლული ან დაჭრილია.

ბრძოლები ლიბიაში

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 16 ივნისს განთიადისას რომმელმა კვლავ დაარტყა სიდი-რეზეხის მიმართულებით, რომელიც ტობრუკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 მილზე მდებარეობს. ამჟამად გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ელ-ადემის აღმოსავლეთით. გენერალმა რიტჩიმ ჯარები გაიყვანა ნაიტბრიჯიდან და ახლა უვნებელსა და განმტკიცებულ მე-8 არმიას თავი მოუყარა 50 მილის სიგრძის ახალ ფრონტზე, რომელიც ტობრუკს იფარავს. მე-8 არმიის შტაბში რწმენას გამოსთქვამენ, რომ მოწინააღმდეგე ვერ შესძლებს აიღოს ტობრუკის სიმაგრე, რომლის დაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერებულია და გარნიზონი გადიდებულია.

ბულგარეთში სდევნიან ოპოზიციონერ მოხელეებს

ჟენევა, 19 ივნისი (საკდესი). როგორც სოფიიდან იუწყებიან, ბულგარეთის მთავრობის პროჰიტლერული პოლიტიკით გამოწვეულმა აღშფოთებამ ბულგარელი ხალხის ყველა სხვა ფენებთან ერთად მოიცვა აგრეთვე სახელმწიფო მოხელეთა ფართო მასები. ამას მოწმობს ბულგარულ გაზეთ „დუმას" გამოსვლა, რომელიც განგაშსა სტეხს იმის გამო, რომ „ბევრი მოხელე განაგრძობს მთავრობის მტრებისადმი სამსახურს და საბოტაჟს ეწევა". გაზეთი აღნიშნავს, რომ თავის დროზე უკვე ჩატარებული „წმენდა" მოხელეთა შორის იმ მიზნით, რათა თავიდან მოეშორებინათ „ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები" ძალიან რბილად ტარდებოდა და „დადებითი შედეგი არ მოუცია". „დუმა" მოითხოვს, გადაჭრით გაუსწორდნენ ოპოზიციურად განწყობილ მოხელეებს. მიუხედავად მათი სამსახურეობრივი მდგომარეობისა, რათა „ერთხელ და სამუდამოდ გააუვნებლონ ისინი".

სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის" მშენებლობის ფონდში

დუშეთის რაიონული გაზეთის რედაქციისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის" მშენებლობის ფონდში ორ-ორი დღის ხელფასი შეიტანეს, რაც 280 მანეთს უდრის.

ფონდში თანხები შეაქვს რაიონის ძირეული პრესის აქტივსაც. მაგალითად, ჰოპორტის სასოფლო საბჭოს და ტერიტორიული პარტორგანიზაციის კედლის გაზეთის აქტივმა 1.150 მანეთი შეიტანა, დამზადების კომიტეტის კედლის გაზეთის აქტივმა — 1.240 მან., ანანურის ტერიტორიული პარტორგანიზაციისა და სასოფლო საბჭოს კედლის გაზეთის „სტალინური გზის" აქტივმა — 810 მანეთი და ა. შ.

სულ 5 ივნისისათვის მშენებლობის ფონდში შეტანილი იყო 4.291 მანეთი.

თანხების შეგროვება გრძელდება.

თ. სვინტიძე

• • •

ქობულეთის რაიონულ გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნის" რედაქციისა და სტამბის მუშაკებმა სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის" მშენებლობის ფონდში შეიტანეს სამ-სამი დღის ხელფასი, შეგროვილია 670 მანეთი.

თანხები შეაქვთ ძირეული პრესის მუშაკებსაც.

ალ. ლომთაძე

სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების აქტივის თათბირი

ამ დღეებში საქ. სს რესპუბლიკის შრომითი რეზერვების სამმართველოში შესდგა საქ. სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების აქტივის თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ სასწავლებლების დირექტორები, საწარმოო და სასწავლო ნაწილის უფროსები, უფროსი ოსტატები, ალკკ კომიტეტის მდივნები და მოსწავლეები.

თათბირის მუშაობა მიეძღვნა საქ. სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და სასწავლებლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების განხილვას.

საქართველოს სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებს შორის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა თბილისის მე-3 საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დირექტორი ამხ. ჯიქია და მე-5 საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დირექტორი ამხ. ნაცვლიშვილი.

როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, მთელ რიგ სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში ფართოდ გაიშალა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. მე-3 საფაბრიკო-საქარხნო და მე-11 სახელოსნო სასწავლებლებში სისტემატურად მოწმდება შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, ყურადღება ექცევა შრომითი დისციპლინის განმტკიცებას და სხვ. მაგრამ ამასთანავე არის ზოგიერთი სასწავლებელი (მე-5 სახელოსნო სასწავლებელი, რკინიგზის მე-2 სასწავლებელი და სხვ.), სადაც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება, არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა რკინიგზის მე-2 სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ამხ. ტოროსიანი და № 1 საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ამხ. ბობოხიძე.

თათბირზე აღნიშნული საკითხების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

საქ. სს რესპუბლიკის სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები.

საქ. სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. ი. ხეთაგურის შემაჯამებელი სიტყვის შემდეგ თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანო
(დასასრული).

რა ვერაგ მტერზე გამარჯვების ამოცანებს. გაზეთი ფართოდ უჩვენებს სამამულო ომის გმირულ ეპიზოდებს, ჩვენს სახელოვან მამაც მებრძოლებს —მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, სნაიპერებს, ნაღმმტყორცნელებს, მეტყვიამფრქვევეებს, ამაყ სტალინურ შევარდნებს, ქვეითებსა და ცხენოსნებს, მეზღვაურებს, ტანკისტებს. გაზეთი უჩვენებს ფაშისტი ვანდალების უმაგალითო მხეცობას. „ზარია ვოსტოკაში" ფართო ასახვას პოულობენ შრომის ფრონტის გმირები, ომიანობის დროის სტახანოველები, რაციონალიზატორები და გამომგონებლები. საბჭოთა საქართველოს მშრომელებს „ზარია ვოსტოკამ" პირველმა გააცნო სტალინური პრემიის ლაურეატის, ცნობილი ურალელი ათასოვნის, მღარველ დიმიტრი ბოსის შესანიშნავი მეთოდი.

„ზარია ვოსტოკა" თავის ფურცლებზე ფართოდ უჩვენებს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას საბჭოთა ხელისუფლების წლებში. გაზეთმა მოათავსა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ცნობილი პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მხატვრების შემოქმედებითი ნიმუშები. მის ფურცლებზე ფართო ასახვას პოულობს საბჭოთა საქართველოს მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, რეჟისორებისა და მსახიობების, მხატვრებისა და მოქანდაკეების დიდი შემოქმედებითი მუშაობა.

ომის დღეებში „ზარია ვოსტოკამ" კიდევ უფრო გააძლიერა მასობრივი მუშაობა. იგი კონკრეტულ დახმარებას უწევს საქალაქო, რაიონულ და ძირეულ პრესას ადგილებზე კონსულტაციებით და შეკრებების მოწყობით. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში „ზარია ვოსტოკამ" 315 კედლის გაზეთის განხილვა მოაწყო. კარგად მუშაობს რედაქციასთან არსებული მუშკორთა კაბინეტი. რედაქციამ ახლახან ჩაატარა მუშკორებისა და ძირეული პრესის მუშაკების შეხვედრა სსრ კავშირისა და რსფსრ სახალხო არტისტებთან და დამსახურებულ მსახიობებთან. მოეწყო განხილვა ვსევოლოდ როკის პიესისა „ინჟინერ სერგეევი", რომელიც სამამულო ომის თემაზეა დაწერილი.

1939 წელს „ზარია ვოსტოკამ" საანგარიშო მოხსენება გააკეთა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ჟდანოვმა** აღნიშნა, რომ გაზეთი სწორად იქცევა, როდესაც არ ეშინია ინიციატივის გამოჩენისა, კერძოდ ორგანიზაციულ-პარტიული მშენებლობისა და პროპაგანდისტული მუშაობის საკითხების გაშუქებაში. „ზარია ვოსტოკას" ინიციატივას ბევრ დარგში მაღალი შეფასება მისცეს ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ" და ჟურნალმა „ბოლშევისტსკაია პეჩატ".

სამამულო ომის დღეებში „ზარია ვოსტოკა" დიდ მუშაობას ატარებს ფრონტისათვის მეტი და მეტი დახმარების გასაწევად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის გაშუქებისათვის, მუშათა ახალი კადრების აღსაზრდელად.

„ზარია ვოსტოკა" ნაყოფიერად მუშაობს გამოცემებზე, რომლებსაც ომის დღეებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. გასული წლის 22 ივნისიდან დღემდე „ზარია ვოსტოკამ" გამოსცა 27 სახელწოდების პოლიტიკური წიგნი, 5 სახელწოდების მხატვრული ლიტერატურის ძეგლი და სამი სახელწოდების პორტატული წიგნები—„ჯიბის წიგნი", ხოლო ამჟამად წარმოებაშია 6 სახელწოდების წიგნი. მკითხველი მასის ყურადღებას იპყრობს გაზეთის მიერ გამოცემული სააგიტაციო ფურცლები და ერთდროული გამოცემები.

აღვნიშნავთ რა საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს სახელოვან 20 წლისთავს, მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ „ზარია ვოსტოკა" ახალ-ახალ წარმატებებს მოიპოვებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და გენიალური მხედართმთავრის დიდი **სტალინის** მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, ყოველთვის მაღლა ატარებს **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ძლევამოსილ დროშას და ბოლშევიკური პრესის ცეცხლოვანი სიტყვებით აქტიურად დაეხმარება საბჭოთა საქართველოს მშრომელ ხალხს ყველაფერი გააკეთოს დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანების განსახორციელებლად — პირისხლიან გერმანელ ფაშისტთა გასანადგურებლად 1942 წელს.

ანკარის სასამართლოს აღმაშფოთებელი განაჩენი პაპენზე „თავდასხმის" პროვოკაციული საქმის გამო

პავლოვი და კორნილოვი დაუსაბუთებლად გამოაცხადეს „დამნაშავეებად" და ოც-ოცი წლის პატიმრობა მიუსაჯეს

ანკარა, 17 ივნისი (საკდესი). დღეს ანკარის სასამართლოში დამთავრდა პაპენზე ეგრეთწოდებული „თავდასხმის" საქმის მოსმენა. სასამართლოს დარბაზში თითქმის ყველა დამსწრე, შეიძლება გერმანიის საელჩოს და გერმანულ-ფაშისტური გაზეთების წარმომადგენელთა გარდა, გაოცა იმან, რომ სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: პავლოვი და კორნილოვი გამოცხადებული არიან პაპენზე ეგრეთწოდებული თავდასხმის „ორგანიზატორებად" და თითოეულ მათგანს მისჯილი აქვს 20 წლის პატიმრობა. პროვოკატორებს აბდურაჰმანსა და სულეიმანს ათათი წლის პატიმრობა მიესაჯათ.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მთელი კვირის განმავლობაში ემზადებოდა განაჩენის გამოტანისათვის, მან ამ ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა მისი ჩამოყალიბება და გამოაქვეყნა მხოლოდ მოკლე, ყოვლად დაუსაბუთებელი ტექსტი, ამასთან გამოაცხადა, რომ განაჩენის დაწერილებითი ტექსტი, რომელშიც ვითომც მოყვანილ იქნება „მოტივები", ბრალდებულთ დამატებით გადაეცემათო. ამ მოკლე ტექსტში სრულიად უსაბუთოდ და წინააღმდეგ ყოველივე იმისა, რაც უცილობლად გამოირკვა სასამართლოში, ნათქვამია, თითქოს პავლოვმა და კორნილოვმა „დაიყოლიეს" ომერი, აბდურაჰმანი და სულეიმანი „თავს დასხმოდნენ" პაპენს, რომელმაც აფეთქების შედეგად სამსესამედოდ დაკარგა ცალი ყურის სმენა. სასამართლომ თავის განაჩენში გაიმეორა უაზრო რიშვა ბრალდების ერთ-ერთი მოწმისა, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს მან თავდასხმის მომენტში დაინახა კორნილოვი, რომელმაც ვითომც „საბჭოთა საელჩოს კუთვნილი წითელი მანქანით" გაიარა; საელჩოს, როგორც სასამართლოში გამორკვეულ იქნა და როგორც თურქეთის ხელისუფალთ კარგად იციან, ასეთი მანქანა არა ჰქონია და არცა აქვს. შემდეგ განაჩენში განახლებულია როგორც თვითონ ბრალდებულ თურქ მოქალაქეთაგან, ისე მთელი რიგი მოწმეებისაგან სასამართლოში უარყოფილი ვერსია, თითქოს ომერს, სულეიმანსა და აბდურაჰმანს „კომუნისტური იდეოლოგია ჰქონდათ".

მთელი განაჩენი დაუმტკიცებელია და არ შეიცავს არც ერთ მითითებას რაიმე პირდაპირ ან თუნდაც არაპირდაპირ მხილებაზე საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელთაც ხელოვნურად მოახვიეს თავს პროვოკაციული „თავდასხმის" საქმე.

სასამართლოს თავმჯდომარემ გამოუცხადა პავლოვსა და კორნილოვს, რომ, თურქეთის კანონების მიხედვით, გამოტანილი განაჩენი, როგორც ისეთი, რომელიც 15 წლის პატიმრობას აღემატება, აუცილებლად უნდა შეამოწმოს საკასაციო სასამართლომ ზედამხედველობის წესით, გარდა ამისა, მსჯავრდებულთ უფლება აქვთ თავის მხრივ გაასაჩივრონ განაჩენი საკასაციო სასამართლოში იმ აუცილებელი პირობით, თუ... ამასთან ისინი 10 ლირას შეიტანენ თურქეთის ხაზინაში.

განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ პავლოვმა განაცხადა: „კორნილოვსა და მე განაჩენი სამართლის შეცდომად მიგვაჩნია და გავასაჩივრებთ მას როგორც არასწორ განაჩენს", მაგრამ მოსამართლეებმა, რომელნიც განაჩენის გამოქვეყნებისთანავე გავიდნენ, ბოლომდე არც კი მოისმინეს პავლოვის ეს განცხადება.

განაჩენს სამარისებური სიჩუმით შეეგება საზოგადოება, რომლის უმეტესობა განაჩენის გამოცხადების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ამბობდა, რომ სასჯელის უმაგალითო ზომისაგან დამოუკიდებლადაც კი—რაც მაქსიმალურია ამ შემთხვევაში შეფარდებული კანონით დასაშვებ ზომათაგან,—უკვე თვით ფაქტი პავლოვისა და კორნილოვის მსჯავრდადებისა აღმაშფოთებელი გამოწვევაა სამართლიანობის და მიუდგომლობის ელემენტარული გრძნობის მიმართ. აღნიშნავენ, რომ სასამართლომ პირდაპირ გვერდი აუარა სასამართლოს იმ კვლევაძიების შედეგებს, რომლის დროსაც არა მარტო აღარაფერი დარჩა ორიო საბჭოთა მოქალაქისათვის პროვოკატორების მიერ თავსმოხვეული ბრალდებისაგან, არამედ უკანასკნელთ მოახერხეს უცილობლად დაემტკიცებინათ, რომ მათ არა ჰქონიათ და არც შეეძლოთ ჰქონოდათ რაიმე დამოკიდებულება იმ „დანაშაულობებთან", რასაც მათ აბრალებენ. უზომოდ გაჭიანურებული 11 კვე- [illegible]

და რისგანაც ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა იმ პროცესის მიმდინარეობაში, რომელმაც გამოაშკარავა პაპენზე „თავდასხმასთან" დაკავშირებული მთელი ინსცენირების პროვოკაციული ხასიათი.

ამიტომ მრავალ უცხოელთა შორის, რომელნიც ამ უცნაურ პროცესს თვალყურს ადევნებდნენ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ანკარის სასამართლომ, გამოიტანა რა თავისი უსაბუთო განაჩენი, დაარღვია ყოველი სასამართლოსათვის სავალდებულო ნორმები და მოქმედებდა იმ მოტივებით, რომელთაც სრულიად არაფერი აქვთ საერთო მიუდგომელ სამართალწარმოებასთან და გასარჩევი საქმის მასალებთან. უცხოელთა წრეებში აღიარებენ, რომ პავლოვმა და კორნილოვმა, თვითონ იცავდნენ რა თავს და მიუხედავად სასამართლოს მიერ მთელი რიგი საპროცესო ნორმების დარღვევისა, ღირსეულად და დიდი დამაჯერებლობით მოახერხეს დაემტკიცებინათ თავიანთი აბსოლუტური უთანაზიარობა გესტაპოს აგენტების მიერ მოწყობილ „თავდასხმაში".

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობით დაინტერესებულმა მთელმა რიგმა თურქმა ჟურნალისტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა დღეს საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გამოსთქვეს შიში, რომ ანკარის სასამართლოს უსამართლო და სრულიად დაუსაბუთებელი განაჩენი სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევს საბჭოთა საზოგადოებაში.

მოსავალს გერმანიაში ცუდი პირი უჩანს

სტოკჰოლმი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთი „ვესტდოიჩერ ბეობახტერი" სწერს, რომ გერმანიის აღმოსავლეთ ოლქებში კარტოფილის თესვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გერმანელი გლეხები იძულებული იყვნენ მრავალი კვირის განმავლობაში ძალიან დაძაბულად ემუშავნათ—კვირაობითაც, უქმე დღეებშიც და ღამითაც. და მაინც, —აღიარებს გაზეთი,—„ჩვენ თავი ვერ გავართვით სიძნელეებს. გვალვის გამო ნათესების მდგომარეობა ცუდია, ასე რომ კარგ მოსავალს არ უნდა მოველოდეთ".

საკვების ნაკლებობა გლეხებს აიძულებს მოუმწიფებელი ნათესი სთიბონ და ამით კვებონ საქონელი.

ანკარა (საკდესი). გერმანიიდან მიღებული ცნობებით, მარცვლეულ კულტურათა მოსავალი იქ სულ ცოტა 30 პროცენტით ნაკლები იქნება შარშანდელთან შედარებით, ხოლო სხვა კულტურების მოსავალი —40-50 პროცენტითაც კი ნაკლები. უაღრესად მწვავედ დგას მოსავლის აღების პრობლემაც, რადგან გაზაფხულზე გერმანიაში დამატებითი მობილიზაცია უყვეს ფრონტზე დიდძალ ცხენს. ხოლო საწვავის მწვავე ნაკლებობის გამო მანქანებზე იმედი არ არის.

რუმინეთში პურის გაცემის ნორმები შეამცირეს

ნიუ-იორკი, 16 ივნისი (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, რუმინეთში პურის გაცემის დღიური ნორმა სულზე 250 გრამამდე შეამცირეს.

ნავთის კრეკინგის ახალი მეთოდი

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიკელმა ქიმიკოსებმა გააუმჯობესეს ნავთის კრეკინგის მეთოდი, რაც საშუალებას აძლევს ნავთგადამმუშავებელ დანადგარს ერთსა და იმავე დროს გამოუშვას როგორც მაღალოქტანიანი საავიაციო ბენზინი, ისე ბუტადიენიც, რომელსაც სინთეზური კაუჩუკის დასამზადებლად იყენებენ.

საზღვარგარეთ

ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის ნავთობის მიწოდება რომ გაძლიერდეს, ამისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში იწყება ფოლადის ნავთსადენის მშენებლობა ლონგვიუდან სეილევამდე. ამ ნავთსადენს, რომელსაც 880 კილომეტრი სიგრძე ექნება, შეუძლია დღე-ღამეში 350 ათასი ბარელი ნავთობი გაატაროს.

• • •

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა ამერიკის არმიის საინტენდანტო სამსახურის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სომერველი, რომელსაც თათბირი ჰქონდა ლონდონში ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელებთან.

კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა პალატას წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც უფლებას ანიჭებს მთავრობას კანადის საზღვრებს გადაღმა გაგზავნოს კანადის ჯარები.

• • •

10 ივნისიდან დანიის მთელ რიგ ნავსადგურებს შორის შეწყვეტილია სარკინიგზო ბორნებისა და სამგზავრო გემების მოძრაობა. სწყდება აგრეთვე მიმოსვლა კოპენჰაგენსა და გერმანიის ნავსადგურებს შორის.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ დიდ ბელტზე გავლით მგზავრობა საკუთარი რისკით იწარმოებსო.

განუხრელად გავატაროთ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი

მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების საბრძოლო გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ თუ საწარმოები და საცხოვრებელი სახლები ჯეროვნად არიან მომზადებული ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვისათვის და თუ მოსახლეობის ფართო ფენებიც აქტიურად მონაწილეობენ ხანძრებთან ბრძოლაში, ფაშისტი სვავების მიერ ჩამოყრილი ცეცხლწამკიდი ავიაბომბები შეიძლება სწრაფად იქნას გაუვნებლებული.

ფაშისტების მიერ გამოყენებული ცეცხლწამკიდი ავიაბომბების ძირითად ტიპს წარმოადგენენ ერთკილოგრამიანი ელექტროთერმიტული ავიაბომბები, რომლებიც ინტენსიურად იწვიან 2-3 წუთის განმავლობაში თვალისმომჭრელი ალით, გამოჰყოფენ მძიმე თეთრი ბოლის ბოლქვებს და ანვითარებენ 3.000 გრადუსამდე ტემპერატურას, რითაც იწვევენ ხის კონსტრუქციებისა და წვადი მასალებისათვის ცეცხლის სწრაფად წაკიდებას.

ცეცხლწამკიდი ბომბებისა და მათგან გამოწვეული ხანძრების ჩაქრობის ძირითად, ყველაზე მისაწვდომ და ეფექტიურ საშუალებას წარმოადგენს წყალი.

ბომბის წვის ძალის შესამცირებლად და ხანძრის კერის ლოკალიზაციისათვის წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე სილა, მიწა, დაფხვნილი თიხა, ნაცარი და სხვ.

ავიაბომბის ჩაქრობის შემდეგ საჭიროა გულდასმით შევამოწმოთ მისი დავარდნის ადგილი და უხვად მოვასხათ იქ წყალი.

ცეცხლწამკიდ ავიაბომბებთან ბრძოლის ხერხები მარტივი და საიმედოა. ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ უკლებ შევითვისოთ ცეცხლწამკიდ ბომბებთან ბრძოლის ეს ხერხები და მოვამზადოთ ობიექტები და საცხოვრებელი სახლები ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვისათვის.

მტრის ავიაციის თავდასხმის პირობებში ხანძრებთან ბრძოლაში დიდ როლს თამაშობენ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებანი. ამიტომ ყოველ საწარმოში, დაწესებულებაში და საცხოვრებელ სახლებში საჭიროა ვიყოლიოთ სახანძრო რგოლები და სისტემატურად ვაწარმოოთ მათთან მუშაობა ცეცხლწამკიდი ავიაბომბებისა და მათგან გამოწვეული ხანძრების ჩაქრობის წესებისა და მეთოდების შესასწავლად.

ხანძარი შეიძლება გაჩნდეს არა მარტო ავიაბომბებისაგან, არამედ ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობითაც და სახანძრო უშიშროების ელემენტარული წესების დარღვევით.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენში ხანძრისა და ცეცხლის გაჩენის არც ერთი შემთხვევა არ იყოს. ფხიზლად უნდა მოვეკიდოთ ხანძრისაგან სახალხო სოციალისტური დოვლათისა და საკუთარი ბინების დაცვას. ცეცხლწამკიდი ავიაბომბების ჩაქრობის ხერხების შესწავლასთან ერთად უნდა ვიცოდეთ და დავიცვათ სახანძრო უშიშროების წესებიც. განუხრელად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი, რომლებსაც სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობა გვავალებს.

ყოველი ობიექტი და საცხოვრებელი სახლი უნდა უზრუნველვყოთ წყლის საჭირო მარაგით და ხანძართან საბრძოლველი საშუალებებით: წყლის კასრებით, სილის ყუთებით, ცეცხლსაქრობებით, ნიჩბებით, ვედროებით და სხვ., აგრეთვე საჭიროა შევამოწმოთ ხანძრის საქრობი ყველა საშუალება, რაც კი მოგვეპოვება, და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში ვიქონიოთ ისინი.

კორიდორები, კიბის მოედნები, სხვენები და სარდაფები გაწმენდილი უნდა იყოს ყოველგვარი ზედმეტი საგნებისაგან, რომლებსაც შეუძლია ასაზრდოოს ცეცხლი და ხელი შეუწყოს ხანძრის გავრცელებას.

ცეცხლწამკიდი ავიაბომბების ცეცხლის მოქმედებისაგან ხის კონსტრუქციების დაცვის მიზნით კარგია შენობათა სხვენების ყველა ხის ნაწილის შეღებვა ცეცხლგამძლე კირის საღებავით ან სუპერფოსფატის საგლესით.

სუპერფოსფატის საგლესი მზადდება შემდეგნაირად: ერთმანეთში აურევენ სამ ვედრო სუპერფოსფატსა და ერთ ვედრო წყალს და ფუნჯით წაუსვამენ სხვენის ხის ნაწილებზე. ამ შემადგენლობით დაფარვა ორჯერ უნდა მოხდეს.

კირის საღებავის მოსამზადებლად 100 კილოგრამ დაუშთობელ კირს შეურევენ 200 კილოგრამ წყალში, რომელსაც წინასწარ ურევენ 10 კილოგრამ სუფრის მარილს. მიღებულ მასას უმატებენ წყალს, სანამ არაჟანისებური მასის სახეს არ მიიღებს. აღნიშნული საღებავი შეიძლება დამზადდეს უმარილოდაც.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებაში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობით და სახანძრო უშიშროების წესებს დაცვით ჩვენ მივაღწევთ ხანძრის გაჩენის მიზეზების მოსპობას, დავზოგავთ სახელმწიფო სახსრებს, ამით ხელს შევუწყობთ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შემდგომ განმტკიცებას.

ი. პაპკორია

საქ. სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს 1-ლი განყოფილების უფროსი.

კონკურსი მასობრივ სიმღერაზე

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი ქართული მასობრივი სიმღერისა და ქართული სამხედრო მარშის შექმნაზე.

სიმღერა უნდა დაიწეროს თავდაცვის თემაზე, ქართულ ტექსტზე, სასურველია იყოს ტექსტის რუსული თარგმანიც. სიმღერას უნდა ახასიათებდეს საბრძოლო განწყობილება და ფაშისტურ ხროვაზე საბოლოო გამარჯვების იდეა, მკაფიო მელოდიური და ჰარმონიული ენა, რიტმიული დახვეწილობა. სიმღერა შეიძლება იყოს ორ და სამხმიანი, აკომპანემენტიანი და უაკომპანემენტო.

სამხედრო მარში უნდა იყოს სამწყობრო ხასიათისა და წარდგენილ იქნას კლავირის და პარტიტურის სახით.

კონკურსი დახურულია, მონაწილეებმა თავიანთი ნაწარმოებები უნდა ჩააბარონ კომპოზიტორთა კავშირს დახურულ კონვერტში დევიზის აღნიშვნით.

საუკეთესო სიმღერების ავტორების დასაჯილდოებლად გამოყოფილია შემდეგი პრემიები: ერთი პირველი პრემია 1.000 მან., ერთი მეორე პრემია—700 მან. და სამი მესამე პრემია — 400 მან.

საუკეთესო მარშების ავტორების დასაჯილდოებლად გამოყოფილია: ერთი პირველი პრემია—2.000 მან. და ერთი მეორე პრემია—1.000 მან. რაოდენობით.

კონკურსზე ნაწარმოებების წარდგენა შეიძლება 25 ივნისამდე.

ლიტერატურული საღამოები

20 ივნისს, 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში მაქსიმ გორკის გარდაცვალებიდან 6 წლისთავის აღსანიშნავად შესდგება ლიტერატურული საღამო.

საღამო გაიხსნება მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის პოეტ ი. აბაშიძის შესავალი სიტყვით. მოხსენებას თემაზე „მაქსიმ გორკის პატრიოტიზმი" წაიკითხავს ვ. წულუკიძე. სიტყვებს წარმოსთქვამენ, ლექსებსა და მაქსიმ გორკის ნაწარმოებებს წაიკითხავენ მწერლები შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ა. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ბ. ჟღენტი, ს. თავაძე, ვ. გორგაძე.

20 ივნისს, საღამოს 9 ს. 30 წ., ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საესტრადო თეატრში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და პარკის დირექცია აწყობენ ლიტერატურულ საღამოს. მწერალი შ. დადიანი გამოვა სიტყვით თემაზე—„საქართველოს საბჭოთა მწერლები დიდი სამამულო ომის დღეებში". თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ მწერლები: ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, ს. ეული, ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი. დასასრულ შესდგება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2855057, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მიერ პლატონ მაქსიმეს-ძე გადელიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

სახოპერა — 20 ივნისს — „დაისი". 21 ივნისს — „ვერტერი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 20 ივნისს — „ხანუმა". 21 ივნისს დღისით — „გრიგალი", 21 ივნისს საღამოს — „მეფე ერეკლე". **მუსიკალური კომედიის** — 20 ივნისს — „როზ-მარი", 21 ივნისს — „სილვა". **სანკულტურის** — 20 ივნისს — „გაგრძელება იქნება", 21 ივნისს — „ხალხის რჩეული". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — 20 ივნისს — ლიტერატურული საღამო: მწერლების გამოსვლა. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 21 ივნისს — საქ. ხელოვნების მუშაკთა კონცერტი ფრონტის ბრიგადების მონაწილეობით. საჰაერო ატრაქციონი „მკვდარი მარყუჟი", ცეკვა, ჯაზი და სხვ.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, დამკვრელი (საზაფხულო) და **კომინტერნი** — „მაშენკა". **დამკვრელი** (ზამთრის) — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი". **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის) — „სიმღერა სიყვარულზე". **სპარტაკი** — „საბრძოლო კინოკრებული № 8". **ლუქსემბურგის სახ.** — „საბრძოლო კინოკრებული № 7". **26 კომ. სახ.** — „დარიკო".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

20 და 21 ივნისს | ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი (ყოფ. მუშტაიდი)

ს ა ღ ა მ ო - ს ე ი რ ნ ო ბ ა

შაბათს, 20 ივნისს
საბჭოთა საქართველოს მწერლების ლიტერატურული საღამო
1. შ. რადიანის შესავალი სიტყვა „ქართული საბჭოთა მწერლობა დიდი სამამულო ომის დღეებში".
2. მწერლების გამოსვლა
გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო ეული, კარლო კალაძე, იოსებ გრიშაშვილი.
3. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის **კონცერტი**
ცეკვა ჯაზი

საქართველოს მხატვართა **სურათების გამოფენა**

საჰაერო ატრაქციონი „მკვდარი მარყუჟი" „სკლოუი"

კვირას, 21 ივნისს
საქართველოს ხელოვნების მუშაკთა **კონცერტი** ფრონტის ბრიგადების მონაწილეობით.

ბავშვებისათვის საბავშვო რკინიგზა, სკეიტინგ-რინგი, თამაშობანი, კარუსელი, ჰამაკები და სხვ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აცხადებს, რომ ა. წ. 8 ივლისს, დღის 12 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), № 95 აუდიტორიაში იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დოცენტი **დავით ესტატეს-ძე შირიანაშვილი** დაიცავს დისერტაციას იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „დანაშაულთა გამოკვლევის დეკადაქტილოსკოპიური და მონოდაქტილოსკოპიური მეთოდები".
ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ალ. კ. ვაჩეიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ბ. ზ. ფურცხვანიძე.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **დ. ჟუჟუნიძე.**

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში მიღების პირობები
1. 1942-43 სასწავლო წელს მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: ა) ენისა და ლიტერატურის, ბ) საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული და გ) ფიზიკა-მათემატიკის.
2. ყველა ფაკულტეტზე სწავლა ორწლიანია.
3. ინსტიტუტში ჩარიცხვა სწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ 1942 წელში დამტკიცებული წესების მიხედვით.
4. განცხადებების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.
5. შემსვლელს შემოაქვს დირექტორის სახელზე განცხადება ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით, შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი, ზომით 3×4 სმ., გადაღებული უქუდოდ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.
6. ყოველგვარი ცნობებისა და კონსულტაციების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტში ყოველდღე 9-დან 3 საათამდე.
მისამართი: ქალ. თელავი, ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი.
ინსტიტუტის დირექტორი **ტ. სარიშვილი**

თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1942-43 სასწავლო წლისათვის.
ინსტიტუტში მიიღებიან ორივე სქესის 17-დან 35 წლის ასაკის სსრკ მოქალაქენი.
განცხადებების მიღება სწარმოებს ა. წ. 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), ბ) ავტობიოგრაფია, გ) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადებისას), დ) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ე) სამი ფოტოსურათი.
გარდა ფრიადოსნებისა უგამოცდოდ მიიღებიან 1941 და 1942 წლებში კურსდამთავრებულნი, რომელთაც საშუალო სკოლის ატესტატში აქვთ შეფასება „ფრიადზე" და „კარგზე". დანარჩენები მიიღებიან უგამოცდოდ თავისუფალი ადგილების შემთხვევაში.
მისაღები გამოცდები სწარმოებს: 1) ფიზიკაში, 2) ქიმიაში, 3) რუსულ ენაში, 4) ქართულ ენასა და 5) ფიზიკურ მომზადებაში (მინიმუმი).
მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. სწავლის კურსი 3-წლიანია. გარდა საერთო სპეციალობისა, ინსტიტუტდამთავრებულები ღებულობენ სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის სახელწოდებას.
ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საცხოვრებელი ბინით საერთო საფუძველზე. სტიპენდიის რაოდენობა 215-დან 300 მანეთამდე.
ინსტიტუტთან არსებობს დახურული სასადილო.
მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 27, ტელეფონი № 3—20—88.
120
დირექცია

თბილისის ხაბჭოს ჯანგანის მალარიის და პარაზიტულ სნეულებათა დისპანსერი
გადასულია ლუნაჩარსკის ქუჩაზე № 12.
ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 9 საათამდე.
118
ადმინისტრაცია.

თბილისის სახალხო სადგურის კოლექტივი იუწყება გედევან ცეცხლაძის ქალიშვილის
ფუჩქო გედევანის-ასულ ცეცხლაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 21/VI, 5 ს. ფოთის ქ. № 3. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 771

დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების მომუშავენი იუწყებიან
მელიტონ მოსეს-ძე დგვარელის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/VI, 8 ს. გამოსვენება 21/VI, 4 ს. განათლების ჩიხი № 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 768

საქ. ჯანსახკომის ეპიდსაწინააღმდეგო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან სამმართველოს უფროსის ლ. ბეჟანოვის მეუღლის
მარიამ არტემის-ასულ ბეჟანოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/VI, 8 ს. ნუნუს ქ. № 13. დაკრძალვა 21/VI, 5 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 772

თბილისის მოზრდილთა მე-5 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებელ გუგული მიმინოშვილის დედის
ეხმა თომას-ასულ მიმინოშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/VI, 8 ს. მელიქიშვილის ქ. № 11. დაკრძალვა 21/VI, 6 ს. 769

მშრომელთა დეპუტატების გორის ქალაქის საბჭოს აღმასკომის და კომუნალური საწარმოების თანამშრომლები იუწყებიან ვალიკო ქლიბაძის დედის
თებრონე მარკოზის-ასულ ქლიბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/VI, ქ. ზესტაფონში. თაბუკაშვილის ქ. № 25. 773

„სოიუზდორპროექტის" საქ. კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ მიხეილ დვალის ძმის
დიმიტრი არსენის-ძე დვალის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/VI, ქ. ჭიათურაში. გამოსვენება ოსტროვსკის ქ. № 4. 770

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7683